

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

თამაზ ბჟინავა



სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა და მისი მნიშვნელობა
დაზღვევის ხელშეკრულებაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატალია მოწონელიძე

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი 2019

სტრუქტურა

აბრევიატურები	2
შესავალი.....	3
1. დაზღვევის ხელშეკრულების ცნება და მისი სამართლებრივი ელემენტები	6
1.1 დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.....	6
1.2 დაზღვევის ხელშეკრულების საგანი და ობიექტი.....	8
1.3 დაზღვევის ურთიერთობის მონაწილენი	8
1.4 ზიანის ცნება.....	9
2. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის წარმოშობა და მისი განვითარება	10
2.1 სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის ისტორიული საფუძვლები (ინგლისის მაგალითზე).....	14
2.2 სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის ისტორიული საფუძვლები (აშშ-ის მაგალითზე).....	17
3. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის არსი.....	19
3.1 სამართლებრივი ინტერესის თეორიისა და ფაქტობრივი ინტერესის თეორიის შედარება.....	21
3.2 სამართლებრივი ინტერესის თეორია და მისი შემადგენელი ელემენტები	28
3.2.1 საკუთრების უფლება	29
3.2.2 ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები	31
3.2.3 სამართლებრივი პასუხისმგებლობა	32
3.3 ფაქტობრივი ინტერესის თეორია	33
3.4 სადაზღვევო ინტერესისა და ანაზღაურების პრინციპის ურთიერთკავშირი	37
4. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაში ..	38
4.1 შედარებით მკაცრი სტანდარტი	39
4.2 ეკონომიკური ინტერესის სტანდარტი.....	40
5. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა საქართველოს კანონმდებლობაში.....	41
6. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის მიმართ გამოთქმული კრიტიკა.....	42

6.1 სადაზღვევო კომპანიების არაკეთილსინდისიერი ქმედების წახალისება..	44
6.2 დაზღვევის ხელშეკრულების მხარეთა შორის არებული ინფორმაციული ასიმეტრიის პოტენციური ექსლუატაცია	46
6.3 სადაზღვევო ბაზრის ეფექტურობის შემცირება	48
6.4 სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის უგულებელყოფა ავსტრალიის კანონმდებლობაში.....	49
7. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებში	50
დასკვნა	53
ბიბლიოგრაფია.....	55

აბრევიატურები

ქართულ ენაზე:

გვ.	გვერდი (გვერდები)
იხ.	იხილე
სკ.	სამოქალაქო კოდექსი
სსკ.	სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

ინგლისურ ენაზე:

APRA	Australian Prudential Regulation Authority
ASIC	Australian Securities and Investments Commission
MIA	Marine Insurance Act
PEICL	Principles of European Insurance Contract Law
V.	Versus

შესავალი

ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირია სადაზღვევო შემთხვევები, რომლის დროსაც ზიანი ადგება ადამიანის ჯანმრთელობასა და ქონებას.¹ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების გააზრება კი ხშირ შემთხვევებში საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული და სიღრმისეულ მსჯელობას მოითხოვს.²

სამართლებრივი თვალსაზრისით, დაზღვევა „შესაძლო ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს“,³ შესაბამისად დაზღვევა „სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად“ შეიძლება მივიჩნიოთ.⁴

სადაზღვევო ინტერესი შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც დაზღვევის ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობა. სადაზღვევო ინტერესის არ არსებობისას კი მხარეთა შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულება მიიჩნევა ბათილად, რაც სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის საფუძველია.

ინტერესი როგორც ზოგადმეცნიერული კატეგორია წარმოადგენს ადამიანის როგორც სუბიექტის სხვადასხვა სახის ინტერესების განსახორციელებლად მიმართულ საქმიანობას.⁵ თუმცა დაზღვევის ხელშეკრულებაში სადაზღვევო ინტერესი შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც დამზღვევის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობა.

„სადაზღვევო ინტერესი“ ქართული კანონმდებლობისთვის უცხო ტერმინია. რასაც მოწმობს სასამართლო გადაწყვეტილებებშიც მისი დაზღვევის ინტერესთან გაიგივება.⁶

ქართულ კანონმდებლობაში სადაზღვევო ინტერესის შესახებ ერთადერთი მითითება „დაზღვევის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილშია, რომლის თანახმად „ქონების დაზღვევისას დაზღვეულს, რომელიც არ არის დამზღვევი

¹ მოწონელიძე, ნ. სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბილისი, 2015, 8

² იქვე, 8

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის #ას-663-624-2011 განჩინება - მით: ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 15

⁴ იქვე, 15

⁵ მაგნიძე, დ. დაზღვევის ინტერესი საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულებაში, "ადამიანი და კონსტიტუცია", თბილისი, N2, 2003, 47

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის N-ას-719-674-2010 განჩინება

უნდა ჰქონდეს ამ ქონების შენარჩუნების ინტერესი.“ თუმცა, სამწუხაროდ, სადაზღვევო ინტერესის კანონმდებლისეული განმარტება არასრულია, იგი მხოლოდ ქონების დაზღვევის შემთხვევებს ეხება. კანონმდებლის მიერ საერთოდ იგნორირებულია სხვა ტიპის სადაზღვევო ურთიერთობებში სადაზღვევო ინტერესის არსებობის საკითხი.

ზემოაღნიშნული გარემოებები კიდევ ერთხელ ცხადყოფს სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის სიღრმისეული გააზრების აუცილებლობას. სადისერტაციო კვლევის ობიექტია სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის მნიშვნელობის გააზრება დაზღვევის ხელშეკრულებებში. ასევე იმ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებზე მსჯელობა რომელიც დამზღვევს, სადაზღვევო კომპანიასა და მესამე პირს შორის წარმოიშობა, სადაზღვევო ინტერესის არ არსებობისას. ნაშრომის ამოცანაა: სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის არსისა და მნიშვნელობის დადგენა; დაზღვევის ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლების განმარტება სადაზღვევო ინტერესის არ არსებობისას; აგრეთვე პრობლემური საკითხების წარმოჩენა რომელიც სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის გამოყენებისას იკვეთება; მრავალწლიანი უცხოური გამოცდილების გაანალიზება და აღნიშნული გამოცდილების რეკომენდაციების სახით შემუშავება.

ნაშრომი შედგება შესავლის, შვიდი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან.

ნაშრომის პირველ თავში, უშუალოდ სადაზღვევო ინტერესის მიმოხილვამდე გაანალიზებულია, დაზღვევის ხელშეკრულების ცნება და მისი სამართლებრივი ელემენტები, რათა მკითხველს უკეთესი წარმოდგენა შეექმნას იმაზე თუ რას წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულება და რატომ არის აუცილებელი სადაზღვევო ინტერესი დაზღვევის ხელშეკრულებაში.

მეორე თავში გაანალიზებულია სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის წარმოშობის განმაპირობებელი ფაქტორები და მიმოხილულია დოქტრინის განვითარება ინგლისისა და აშშ-ის მაგალითზე.

ნაშრომის მესამე თავში კი განხილულია სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის არსი. ერთმანეთისთვის შედარებულია სამართლებრივი და ფაქტობრივი ინტერესის თეორიები, კერძოდ გაანალიზებულია სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის მიმართ არსებული განსხვავებული მიდგომები. განხილულია უცხოური სასამართლო პრაქტიკა, რომელიც სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

ნაშრომის მეოთხე თავში მოკლედ მიმოხილულია ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის მიმართ არსებული

პოზიცია. განხილულია, შედარებით მკაცრი სამართლებრივი ინტერესისა და ეკონომიკური ინტერესის თეორიების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ნაშრომის მეხუთე თავი, გარკვეულწილად, მეოთხე თავის გაგრძელებას წარმოადგენს და მიმოიხილავს სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის განვითარებას საქართველოს კანონმდებლობაში. აგრეთვე, საქართველოში მოქმედი პრაქტიკისა და უცხოური გამოცდილების ანალიზის საფუძველზე წამოყენებულია კონკრეტული წინადადებები საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე.

მეექვსე თავში დეტალურად გაანალიზებულია სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის მიმართ გამოთქმული კრიტიკა და შეფასებულია დოქტრინის მოწინააღმდეგეთა თითოეული არგუმენტი.

ნაშრომის მეშვიდე თავში შესწავლილია სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება. კერძოდ, განხილულია სადაზღვევო ინტერესის განმარტების თავისებურებები სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში, შეჯამებულია კვლევის შედეგები და შემუშავებულია რეკომენდაციები საქართველოს სადაზღვევო სამართალში ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე.

1. დაზღვევის ხელშეკრულების ცნება და მისი სამართლებრივი ელემენტები

1.1 დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

სადაზღვევო ურთიერთობა დაზღვევის სამართლის ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობაა, რომელიც წარმოიშობა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების პროცესში.⁷ დაზღვევა უზრუნველყოფს მოქალაქის ან იურიდიული პირისათვის სხვადასხვა მავნე ფაქტორის ზემოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.⁸ დაზღვევა შეიძლება განვიხილოთ როგორც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი სამოქალაქო სამართლებრივი გარანტია.⁹

სკ-ის 799-ე მუხლი აყალიბებს დაზღვევის ხელშეკრულების ცნებას და მხარეთა ურთიერთშემხვედრი ვალდებულებების შინაარსს განსაზღვრავს. კერძოდ, დაზღვევის ხელშეკრულებით, მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევოს შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად. თავის მხრივ, დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი.¹⁰

სამართლებრივი ბუნებით დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივად მავალდებულებელი, კონსენსუალური და სასყიდლიანი გარიგებაა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იურიდიული ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებები დაზღვევის ხელშეკრულების კონსენსუალურ თუ რეალურ გარიგებად მიჩნევის თაობაზე. აუცილებელია განიმარტოს, რომ დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების მთავარ განმსაზღვრელ ელემენტებს რისკის გადაცემისა და ზიანის ანაზღაურების დაპირება წარმოადგენს.¹¹ დაზღვევის ხელშეკრულების სინალაგმატური ბუნება მხარეებისთვის

⁷ Тарадонов, С. Страхование право, 2007, 21. - მით: ქეცბაია, ე. ჟურნალი "მართლმსაჯულება და კანონი", თბილისი, N4(43), 2014, 85. - მით: კაპანაძე, თ. ჟურნალი "ახალგაზრდა ადვოკატები", თბილისი, N6, 2016, 9.

⁸ ცისკაძე, მ. ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება; თბილისი, "მერიდიანი". 2001, 5.

⁹ იქვე, 5.

¹⁰ ირემაშვილი, ქ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარები, 14/03/2016წ, www.gccc.ge, 01/06/109, მუხლი 799-ე, ველი მე-11.

¹¹ Denenberg, H. The Legal Definition of Insurance: Insurance Principles in Practice, "The Journal of Insurance", Vol. 30, No. 3. (Sep., 1963), 341. - მით: ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, 2016, 20.

ურთიერთშემხვედრი უფლება-მოვალეობების დაკისრებით გამოიხატება.¹² მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს სადაზღვევო პრემიის გადახდა და თავის მხრივ ვალდებულია აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანი. დამზღვევი კი უფლებამოსილია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამასთანავე ვალდებულია, შეთანხმებული ჯერადობითა და ოდენობით იხადოს სადაზღვევო პრემია.¹³ ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის მოთხოვნა წარმოიშობა მხოლოდ და მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად.¹⁴

დაზღვევის ხელშეკრულებისათვის ერთ-ერთ დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენს მისი სასყიდლიანობა. სადაზღვევო კომპანია წარმოადგენს მეწარმე სუბიექტს და ბუნებრივია მის მიერ განხორციელებული საქმიანობა სწორედ, რომ მოგების მიღებისაკენ არის ორიენტირებული. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო პრემიის მიღება მხოლოდ მოგების მიზნითაც არ შემოიფარგლება. მზღვეველის მიერ ნაკისრი რისკის ღირებულებას წარმოადგენს დამზღვევის მიერ გადახდილი თუ გადასახდელი სადაზღვევო პრემია.¹⁵

როგორც უკვე ავღნიშნე, იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებები დაზღვევის ხელშეკრულების კონსენსუალურ თუ რეალურ გარიგებად მიჩნევის თაობაზე. თუმცა წინამდებარე ნაშრომში იგი მიჩნეულია როგორც კონსენსუალური გარიგება. კონსენსუალური ხელშეკრულება ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში განიმარტება როგორც ხელშეკრულება, „რომელიც დადებულად ითვლება მხარეთა შორის დადგენილი ფორმით შეთანხმების მიღწევის მომენტიდან“.¹⁶ რეალურია კი ხელშეკრულება: „რომლის დასადებად მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმება საკმარისი არ არის, აუცილებელია ასევე ერთი მხარის მიერ მეორისათვის ხელშეკრულების საგნის ფაქტობრივი გადაცემა“.¹⁷

ამიტომაც აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ხელშეკრულების დადებისა და მზღვეველის ვალდებულების წარმოშობის ეტაპი. სკ-ის 816-ე

¹²ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 21.

¹³ იქვე, 21.

¹⁴ Fischer, E. The rule of Insurable Interest and the Principle of Indemnity: Are They Measures of Damages in Property Insurance? 1981, 446.

¹⁵ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 21.

¹⁶ ახვლედიანი, ზ. ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, "სამართალი". 1999, 29

¹⁷ იქვე, 29

მუხლის თანახმად, „პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისგან“. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს მზღვეველის ვალდებულების წარმოშობის საფუძველს. დაზღვევის ხელშეკრულების თავისებურებიდან გამომდინარე კი სრულიად შესაძლებელია, რომ ხელშეკრულების დადებისა და მზღვეველის ვალდებულების წარმოშობის ეტაპების არ დაემთხვეს ერთმანეთს.¹⁸ დაზღვევის ხელშეკრულების კონსენსუალურად მიჩნევისას ასევე მნიშვნელოვანია იმისი გათვალისწინება, რომ „თუკი დაზღვევის ხელშეკრულება პრემიის გადახდამდე არ წარმოიშობა, მაშინ საინტერესოა რის საფუძველზე ეკისრება მას პრემიის გადახდის ვალდებულება“.¹⁹

1.2 დაზღვევის ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

სადაზღვევო სამართალურთიერთობის აუცილებელი ელემენტია მისი ობიექტი.²⁰ „დაზღვევის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, „დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

დაზღვევის ხელშეკრულების საგანს კი სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს.

დაზღვევის ხელშეკრულების საგნის შესწავლა მისი დაზღვევის ობიექტისგან გამიჯვნივ უნდა დაიწყოს.²¹ დაზღვევის საგანს წარმოადგენს ის რაც დაზღვეულია, ხოლო ობიექტი არის ის, რისკენაც მიმართულია დაზღვევა, რის დაცვასაც დაზღვევის ხელშეკრულება ისახავს მიზნად.²²

1.3 დაზღვევის ურთიერთობის მონაწილენი

სადაზღვევო ურთიერთობის სუბიექტებია დამზღვევი, პირი, რომელიც მიმართავს კომპანიას დაზღვევის მისაღებად და მზღვეველი პირი, რომელიც კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს მზღვეველს სადაზღვევოს შემთხვევის დადგომისას მიყენებული ზარალი.

¹⁸ ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 23.

¹⁹ იქვე, 24 .

²⁰ კაპანაძე, თ. ჟურნალი "ახალგაზრდა ადვოკატები", N6, 2016, 10.

²¹ ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, 2016, 27.

²² ქეცბაია, ე. ჟურნალი "მართლმსაჯულება და კანონი", თბილისი, N4(43), 2014, 92.

ამავდროულად, დაზღვევის ხელშეკრულებას ჰყავს მონაწილენიც, რომლებიც დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგების ადრესატებს წარმოადგენენ ან რაიმე ფორმით დაკავშირებულნი არიან მასთან.²³ „დაზღვევის შესახებ“ კანონის თანახმად მზღვეველი არის, „სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განსახორციელებლად და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით აქვს მიღებული დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია“. დამზღვევს კი წარმოადგენს, „ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც დადო დაზღვევის ხელშეკრულება მზღვეველთან.“

1.4 ზიანის ცნება

ზიანი განიმარტება როგორც, „პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების მისი ნების გარეშე ხელყოფა, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წეს-ჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით“.²⁴

ზიანის კონცეფციის სრულყოფილი ანალიზისთვის ასევე აუცილებელია განისაზღვროს სადაზღვევო შემთხვევის მნიშვნელობა და მისი არაორაზროვანი ფორმით მითითება დაზღვევის ხელშეკრულებაში. „სადაზღვევო შემთხვევა წარმოადგენს სადაზღვევო რისკის რეალიზაციის შედეგს.“²⁵ ასევე აუცილებელია, რომ მხარეებმა სადაზღვევო შემთხვევა არსებითი პირობის სახით განსაზღვრონ დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას. აღსანიშნავია, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს, „რამდენად ინარჩუნებს სადაზღვევო შემთხვევა დამოუკიდებლობას თავად დაზღვეულის ნებისგან.“²⁶ გასათვალისწინებელია, რომ ეს მოთხოვნა ხელშეკრულების ორივე მხარის მიმართ ვრცელდება, სადაზღვევო შემთხვევის დადომამდე კონტროლი არც ერთი მხარის გავლენის სფეროში არ უნდა ექცეოდეს.²⁷

სადაზღვევო ურთიერთობის წარმოშობის წინაპირობა სადაზღვევო ხელშეკრულების დადებაა. ამასთანავე მხარეების მიერ, ზუსტად უნდა

²³ ირემაშვილი, ქ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარები, 14/03/2016წ, www.gccc.ge, 01/06/109, მუხლი 799-ე, ველი 31-ე.

²⁴ ვაშაკიძე, გ. სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 193

²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 5 მარტის N 3კ-310-03 განჩინება.

²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 10 სექტემბრის N ას-755-811-2011 განჩინება.

²⁷ ირემაშვილი, ქ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარები, 14/03/2016წ, www.gccc.ge, 01/06/109, მუხლი 799-ე, ველი 21-ე.

განისაზღვროს სადაზღვევო რისკი. ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას და თუ მხარეები არ შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე ხელშეკრულება დადებულად არ ითვლება.²⁸ სადაზღვევო რისკისათვის აუცილებლად დამახასიათებელი უნდა იყოს მისი წინასწარგანუჭვრეტელობა და მხარეთა გავლენის სფეროსგან დამოუკიდებლობა. ვინაიდან, რისკი წინასწარ განუჭვრეტადი მოვლენის განხორციელების ალბათობაა.²⁹

სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დამზღვევეს შესაძლებლობა აქვს მზღვეველისაგან ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს. თუმცა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ანალიზისას აუცილებელია სადაზღვევო თანხასა და სადაზღვევო ანაზღაურებას შორის არსებული განსხვავების დაზუსტება.

სადაზღვევო თანხა ის ფულადი თანხაა, რომლის ფარგლებშიც ხდება ობიექტის დაზღვევა. სადაზღვევო თანხის განსაზღვრისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დაზღვევის ობიექტის საბაზრო ღირებულებას და იგი ობიექტის ღირებულების მიხედვით გამოითვლება. სადაზღვევო ანაზღაურება კი წარმოადგენს თანხას რომელსაც დამზღვევი ზიანის ანაზღაურების სახით იღებს მზღვეველისაგან.³⁰ შესაბამისად, ბუნებრივია რომ სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლა სწორედ რომ დამდგარი ზიანის ოდენობიდან ხდება. ამასთანავე, დაუშვებელია დამზღვევმა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისაგან რაიმე სარგებელი ნახოს, სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შემდეგ. შესაბამისად, შესაძლებელია სადაზღვევო ანაზღაურება ნაკლების იყოს დამდგარი ზიანის ოდენობაზე, მაგრამ დაუშვებელია, რომ აღემატებოდეს მას.³¹

2. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის წარმოშობა და მისი განვითარება

სადაზღვევო ინტერესის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მისი მრავლისმომცველი არსის გამო.³² სადაზღვევო ინტერესის კატეგორიას კარდინალური მნიშვნელობა ენიჭება და მისი ნათლად გააზრების

²⁸ კაპანაძე, თ. ჟურნალი "ახალგაზრდა ადვოკატები", თბილისი, N6, 2016, 13

²⁹ Jerry R., Richmond D., Understanding Insurance Law, 2007, 15-16.

³⁰ ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 36.

³¹ Jerry R., Richmond D., Understanding Insurance Law, 2007, 277.

³² ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 85.

გარეშე შეუძლებელია დაზღვევაზე მკაფიო წარმოდგენის ქონა, როგორც რთულ ეკონომიკურ და სამართლებრივ მოვლენაზე.³³

სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა წარმოიშვა მე-18 საუკუნის ინგლისში, სადაც საზღვაო დაზღვევისას, დამზღვევს არ მოეთხოვებოდა დაედასტურებინა თავისი საკუთრების უფლება ან რაიმე სხვა სამართლებრივი ინტერესი გემთან ან გადასაზიდ ტვირთთან დაკავშირებით.³⁴ დამზღვევის მიერ ინტერესის არ ქონის შედეგად კი გახშირდა თამაშობისა და სანამდლეოს ტიპის გარიგებები იმასთან დაკავშირებით, გემი და დაზღვეული ტვირთი წარმატებით დაასრულებდა თუ არა საზღვაო მოგზაურობას.³⁵ გამომდინარე აქედან, სადაზღვევო ინტერესის არ ქონის გამო, მცდელობა იმისა, რომ დამზღვევებს არაკანონიერი გზებით მიეღოთ ფინანსური მოგება გახშირდა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია თაღლითობის შემთხვევების მატება.

სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა ჩამოყალიბდა სწორედ რომ ამ გავრცელებული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად. ის სადაზღვევო ხელშეკრულებები რომელშიც დამზღვევს არ გააჩნდა სადაზღვევო ინტერესი მიიჩნეოდა ბათილად.³⁶

ინგლისის პარლამენტმა 1745 წლის საზღვაო დაზღვევის კანონის პრეამბულაში მიუთითა, რომ სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის ჩამოყალიბებამდე დაზღვევის ხელშეკრულება იდებოდა „შესაბამისი ინტერესის არ ქონისას, ან ინტერესის არსებობის დამადასტურებელი საფუძვლის არ ქონისას“, რამაც თავის მხრივ მრავალი კანონსაწინააღმდეგო ქმედება გამოიწვია, ტვირთით დატვირთული გემების დიდი რაოდენობა საეჭვო ვითარებაში იკარგებოდა ან ომის პერიოდში ხდებოდა მათი „მტრის“ მიერ გატაცება.³⁷ არსებული სიტუაციის დასარეგულირებლად, პარლამენტმა 1745 წელს მიიღო საზღვაო დაზღვევის შესახებ კანონი, რომლის თანახმადაც საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობად მიჩნეული იყო დამზღვევის მიერ სადაზღვევო ინტერესის ქონა დაზღვეულ ქონებასთან მიმართებით.³⁸

აგრეთვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 1745 წლის კანონს არ შეუჩერებია, სადაზღვევო ინტერესის გარეშე საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულებების

³³ მაგნიძე, დ. დაზღვევის ინტერესი საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულებაში, "ადამიანი და კონსტიტუცია", თბილისი, N2, 2003, 45.

³⁴ Jerry R., Richmond D., *Understanding Insurance Law*, 2007, 255

³⁵ იქვე, 255.

³⁶ Sharo Michael, A., *Regulation Not Prohibition: The Comparative Case Against the Insurable Interest Doctrine* *Northwestern Journal of International Law & Business*, 2011, 94-95.

³⁷ Jerry R., Richmond D., *Understanding Insurance Law*, 2007, 256

³⁸ *Marine Insurance Act of 1745*.

დადების არსებული პრაქტიკა, თუმცა ამასთანავე უნდა ითქვას რომ ყველა ასეთი გაცემული პოლისიც არ იყო კანონსაწინააღმდეგო. ზოგიერთ დაზღვევის ხელშეკრულებაში, დამზღვევის სადაზღვევო ინტერესის არსებობა გარკვეულ ეჭვს იწვევდა, შესაბამისად ამ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ძირითადად მზღვეველის „ღირსებაზე“ იყო დამოკიდებული. აღნიშნულ ხელშეკრულებებს, რომლებიც შემდგომ ცნობილი გახდა როგორც „ღირსების ხელშეკრულებები“, 1745 წლის საზღვაო დაზღვევის კანონიდან გამომდინარე არ გააჩნდათ მავალდებულებელი ძალა, და ამავდროულად ყურადღება არ ექცეოდა იმ ფაქტს გააჩნდა თუ არა დამზღვევს რეალური სადაზღვევო ინტერესი. თუმცა უდავოა ის ფაქტი რომ ეს ხელშეკრულებები ასრულებდნენ ეკონომიკური განვითარების მხრივ დიდ როლს.³⁹

სადაზღვევო ინტერესის წარმოშობისა და განვითარების მთავარი განმაპირობებელი საფუძველი ერთი მხრივ, დაზღვევასა და მეორე მხრივ, თამაშობასა და სანაძლეოს შორის გამიჯვნის საკითხი წარმოადგენდა. ხელშეკრულების ორივე სახეს საერთო ის გააჩნია, რომ ორივე ალელატორული ტიპის ხელშეკრულებებს წარმოადგენენ და ითვალისწინებენ გადახდის ვალდებულებას უცნობი მოვლენის მომავალში შესაძლო დადგომი შემთხვევაში. თუმცა დაზღვევას თამაშობისაგან ის განმასხვავებელი ნიშანი გააჩნია, რომ ითვალისწინებს ერთი სუბიექტის მიმართ არსებული რისკის გადანაწილებას ყველა დამზღვევზე.⁴⁰

ამასთანავე სადაზღვევო ინტერესის არსებობა დაზღვევის ხელშეკრულებაში კიდევ ერთ განმასხვავებელ ფაქტორს ქმნის თამაშობისა და სანაძლეოს ტიპის ხელშეკრულებებისაგან. თუ თამაშობა და სანაძლეო მოგების მიღების შესაძლებლობას ითვალისწინებს, დაზღვევის ხელშეკრულება სოციალურად სასარგებლო ფუნქციას ასრულებს, რადგან მის მიზანს არა მოგების მიღება არამედ დამზღვევის მოსალოდნელი ზიანისაგან დაცვა წარმოადგენს.⁴¹ სადაზღვევო ინტერესის დოქტრინით იკრძალება დამზღვევის მიერ მოგების მიღება, რათა მაქსიმალურად შემცირდეს დამზღვევის მიერ დაზღვევის ობიექტისადმი ზიანის მიყენებისა და ამის შედეგად სარგებლის მიღების ფაქტი.

³⁹ Jerry R., Richmond D., Understanding Insurance Law, 2007, 256

⁴⁰ მაგნიძე, დ. დაზღვევის ინტერესი საზღვაო დაზღვევი ხელშეკრულებაში, "ადამიანი და კონსტიტუცია", თბილისი, N2, 2003, 48

⁴¹ Jerry R., Richmond D., Understanding Insurance Law, Fourth Edition, LexisNexis, 2007, 275 - მით: ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 86

დაზღვევის ხელშეკრულების თამაშობისა და სანაძლეოსაგან გამიჯვნის პრობლემამ შედარებით დასრულებული სახე მიიღო და დაზღვევის ყველა სახის აუცილებელ წინაპირობად დაწესებული იქნა სადაზღვევო ინტერესის არსებობა დაახლოებით 1610 წლისათვის, ვინაიდან მაშინ იქნა მიღებული პირველი ამგვარი სახის აქტი ე.წ „გენუის სტატუტები.“ საერთო სამართლის ქვეყნებში კი პირველობა ინგლისს ეკუთვნის 1745 წელს გამოცემული საზღვაო დაზღვევის კანონით (Marine Insurance Act of 1745).⁴²

1745 წლის საზღვაო დაზღვევის კანონი კრძალავდა სადაზღვევო პოლისების გაცემას, ქონების დაზღვევის ხელშეკრულებებში, სადაზღვევო ინტერესის ქონის გარეშე. ასევე აღსანიშნავია 1774 წლის სიცოცხლის დაზღვევის შესახებ კანონი, რომელიც ასევე კრძალავდა დაზღვევას შესაბამისი სადაზღვევო ინტერესის გარეშე. მერკინმა მიუთითა, რომ „1774 წლის სიცოცხლის დაზღვევის შესახებ კანონის გადამწყვეტი მნიშვნელობა მდგომარეობა იმაში, რომ მას უნდა აღმოეფხვრა თამაშობისა და სანაძლეოს ელემენტები მოჩვენებით დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებაში“.⁴³ კანონის პრემბულაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ „შეუძლებელია დაიდოს დაზღვევის ხელშეკრულება ადამიანის სიცოცხლეზე, იმ შემთხვევაში თუ ის პიროვნება რომელიც იღებს სარგებელს, ან რომლის მიერაც აღნიშნული ხელშეკრულების დადება მოხდა თუ მას არ გააჩნია შესაბამისი ინტერესი“.⁴⁴

აღსანიშნავია განიმარტოს, რომ სიცოცხლის დაზღვევის შესახებ 1774 წლის კანონი არ ვრცელდება უძრავი ქონების დაზღვევაზე. ეს დადგენილი იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ დავაზე Mark Rowlands Ltd. v Berni Inns Ltd,⁴⁵ დავის საგანს წარმოადგენდა საკითხი ჰქონდა თუ არა დაზღვეული შენობის დამქირავებელს, რომელსაც უკვე შესაბამისი თანხა უკვე გადახდილი ჰქონდა, სადაზღვევო ინტერესი, მიუხედავად იმისა რომ მისი სახელი არ იყო ხელშეკრულებაში დაფიქსირებული. მზღვეველის არგუმენტს წარმოადგენდა სწორედ ეს ფაქტი და მიუთითებდა, რომ შენობის დამქირავებელი არ იყო დაზღვეული ვინაიდან მისი სახელი არ იყო მითითებული ხელშეკრულებაში. სასამართლომ კი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მიუთითა, რომ სიცოცხლის დაზღვევის შესახებ 1774 წლის კანონი არ ეხება ანაზღაურების პრინციპს.

⁴² მაგნიძე, დ. დაზღვევის ინტერესი საზღვაო დაზღვევი ხელშეკრულებაში, "ადამიანი და კონსტიტუცია", თბილისი, N2, 2003, 49

⁴³ Merkin, R. "Gambling by Insurance - A Study of The Life Assurance Act 1774", Anglo-American LR, 1980, 331; Clark, G. Betting on lives: The culture of life insurance in England, 1695-1775, 1999, 9.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ Mark Rowlands v Berni Inns LTD: CA 1985.

ვინაიდან დაზღვევისათვის ფუძემდებლური ანაზღაურების პრინციპი ყველაზე მკაფიო გამოხატულებას ქონების დაზღვევაში ჰპოვებს.⁴⁶

2.1 სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის ისტორიული საფუძვლები (ინგლისის მაგალითზე)

საზღვაო დაზღვევის შესახებ 1745 წლის კანონის საფუძველზე ის სადაზღვევო ხელშეკრულებები, რომლებიც დადებული იყო საზღვაო ტვირთზე და რომელშიც დამზღვევს არ გააჩნდა შესაბამისი ინტერესი, ბათილად იქნა მიჩნეული.⁴⁷ ასევე ინგლისში ნაცად პრაქტიკას წარმოადგენდა სხვა პირის სიცოცხლეზე ე.წ. „ფსონის“ დადება, რომელსაც გარეგნულად მართალია დაზღვევის ხელშეკრულების ფორმა ჰქონდა, მაგრამ ეს ხელშეკრულებები იდებოდა იმ პირების მიერ ვისაც დაზღვეულთან არანაირი ტიპის კავშირი არ ჰქონდათ და ბუნებრივია მათ დაზღვეულის სიცოცხლის მიმართ არანაირი ინტერესი არ ექნებოდათ.⁴⁸

აღსანიშნავია ისიც, რომ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების იდებოდა იმ ადამიანების სიცოცხლეზე რომლებსაც მძიმე დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი. მხარეები პირდაპირი ფორმით „ფსონებს“ დებდნენ დამნაშავის სიცოცხლეზე და ასევე ვარაუდობდნენ შეეფარდებოდა თუ არა მათ სიკვდილით დასჯა ჩადენილი დანაშაულისთვის. მსგავსი ტიპის პრაქტიკას წარმოადგენდა ხანშიშესული მაგრამ მდიდარი ადამიანების სიცოცხლის დაზღვევა.⁴⁹

არსებული სავალალო სიტუაციიდან გამომდინარე ინგლისის პარლამენტმა გადაწყვიტა გარკვეული ზომებისთვის მიემართა, ვინაიდან თამაშობისა და სანაძლეოს ტიპის გარიგებები არა მარტო ქონებაზე არამედ უკვე ადამიანთა სიცოცხლეზეც იდებოდა. სწორედ ამიტომ იქნა მიღებული სიცოცხლის დაზღვევის შესახებ 1774 წლის კანონი. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ამ კანონის მიღების საფუძველი არა ადამიანთა სიცოცხლეზე ზრუნვა არამედ თამაშობისა და სანაძლეოს ტიპის გარიგებების აღმოფხვრა იყო.⁵⁰ პრეამბულაში ნათქვამი იყო, რომ „არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე აშკარაა, რომ სიცოცხლის დაზღვევის

⁴⁶ Esaam Saad, A. G. Insurable interest in property insurance: A comparative study amongst English, Canadian and Saudi Arabian laws, 2006, 39.

⁴⁷Sharo Michael, A, Regulation Not Prohibition: The Comparative Case Against the Insurable Interest Doctrine Northwestern Journal of International Law & Business, 2011, 98

⁴⁸ Salzman, G. Murder, Wagering, and Insurable Interest in Life Insurance, 1963, 562.

⁴⁹ Jerry, R. Richmond, D., Understanding Insurance Law, 2002, 292.

⁵⁰ Sharo Michael, A. Regulation Not Prohibition: The Comparative Case Against the Insurable Interest Doctrine Northwestern Journal of International Law & Business, 2011, 99

შემთხვევაში, როდესაც დამზღვევს არ გააჩნია შესაბამისი ინტერესი ხელს უწყობს თამაშობისა და სანაძლეოს ტიპის გარიგებების დადებას^{.51}

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ პრინციპები, რომლებიც აწესრიგებდა ქონების დაზღვევის ურთიერთობებს თითქმის უცვლელი ფორმით იქნა გადმოტანილი სიცოცხლის დაზღვევის შესახებ შემთხვევებში. ამასთანავე, სამწუხაროდ ინგლისის პარლამენტის მიერ განმარტებული არ ყოფილა სადაზღვევო ინტერესი და მისი თავისებურებები, რის გამოც სასამართლოებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საკუთარი შეხედულებიდან გამომდინარე, უწევდათ გადაწყვეტილების მიღება.⁵²

თამაშობისა და სანაძლეოს ტიპის გარიგებების მიმართ დამოკიდებულების გამკაცრების შემდეგ ქონების დაზღვევის ხელშეკრულებების დასარეგულირებლად, 1845 წელს მიღებული იქნა თამაშობის შესახებ კანონი. აღნიშნული კანონის მე-18 თავში მითითებული იყო, რომ დამზღვევს უნდა გააჩნდეს სადაზღვევო ინტერესი დაზღვევის ობიექტის მიმართ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება ჩაითვლება როგორც თამაშობისა და სანაძლეოს ტიპის გარიგება და ბათილად ჩაითვლება. ასევე, საზღვაო დაზღვევის მხრივაც გამოსწორდა სიტუაცია და მიღებული იქნა საზღვაო დაზღვევის შესახებ კანონები 1906-სა და 1909 წლებში.

1906 წლის საზღვაო დაზღვევის შესახებ კანონით გამკაცრდა სანქციები და დამზღვევს, რომელსაც არ გააჩნდა სადაზღვევო ინტერესი დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას დაეკისრებოდა ჯარიმის გადახდა ან თავისუფლების აღკვეთა 6 თვემდე ვადით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ კანონის საფუძველზე პირის დასჯა არც არასდროს მომხდარა.⁵³ სასამართლოს მიერ, სადაზღვევო ინტერესის თავდაპირველი განმარტება მოხდა 1806 წელს, საქმეზე *Lucena v Craufurd*⁵⁴, რის შემდეგაც აღნიშნულმა განმარტებამ თავი დაიმკვიდრა ინგლისის მთელ ტერიტორიაზე.

დაახლოებით 100 წლის შემდეგ, 1925 წელს, *Macaura v Northern Assurance*⁵⁵ დამატებით გაამყარა სადაზღვევო ინტერესის ცნება. განიმარტა, რომ კომპანიის აქციონერს არ გააჩნდა არანაირი უფლება კომპანიის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, ვინაიდან მას არ ჰქონდა არანაირი სამართლებრივი ინტერესი.

⁵¹ Life Assurance act of 1774.

⁵² Sharo Michael, A. Regulation Not Prohibition: The Comparative Case Against the Insurable Interest Doctrine *Northwestern Journal of International Law & Business*, 2011, 100

⁵³ იქვე, 100.

⁵⁴ *Lucena v Craufurd*, 1806

⁵⁵ *Macaura v Northern Assurance*, 1925

აქციონერი დაკავშირებულია თავად კომპანიასთან, და არა კომპანიის საკუთრებაში არსებულ ქონებასთან. შესაბამისად, ის ნებისმიერი ზიანი რომელიც მიაღწა ამ ქონებას, წარმოადგენს კომპანიისთვის და არა აქციონერისთვის მიყენებულ ზიანს. სწორედ ამ განსხვავებამ ინტერესში გამოიწვია შემდგომი გამოყოფა კორპორაციის მართვასა და მის საკუთრებას შორის. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ კრედიტორს არ გააჩნია სადაზღვევო ინტერესი მოვალის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, თუმცა სადაზღვევო ინტერესის არსებობა უდავოა მოვალის სიცოცხლესთან მიმართებით.

შედარებით ახლო წარსულში, კანადის საკასაციო სასამართლომ საქმეზე *Kosmopoulos v Constitution Co*⁵⁶ განმარტა, რომ ეკონომიკური ურთიერთობის არსებობა საკმარისი იყო დაზღვევის ხელშეკრულებაში სადაზღვევო ინტერესის ჩამოყალიბებისთვის.

ინგლისში, 2005 წლამდე, სადაზღვევო ინტერესთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოწესრიგება უცვლელი იყო. თუმცა ეს მდგომარეობა თამაშობისა და სანადლეოს შესახებ კანონის მიღებით შეიცვალა.⁵⁷ ამ კანონის შემოღება ითვალისწინებდა ახალი რეგულაციების დაწესებას ინტერნეტ სფეროში. „ინგლისის მთავრობას, თამაშობასთან დაკავშირებული რეგულაციის მიღებით სურდა ჩამოეყალიბებინა, საზოგადოების დაცვის ეფექტური საშუალება“.⁵⁸

მცდელობამ იმისა რომ ინგლისში თამაშობასა და სანადლეოსთან დაკავშირებული ურთიერთობები დაერეგულირებინათ და იგი კანონის ფარგლებში მოექციათ, შემთხვევით გამოიწვია სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის უგულებელყოფა. 2005 წლის თამაშობისა და სანადლეოს შესახებ კანონით ძალადაკარგულად გამოცხადდა, 1845 წლის თამაშობის შესახებ კანონის მე-18 თავი. ჩამოყალიბდა ახალი დანაწესი შემდგომი ფორმულირებით: „ის ფაქტი რომ ხელშეკრულება ეხება თამაშობასა თუ სანადლეოს არ გამორიცხავს მის სავალდებულოობასა თუ აღსრულებადობას“. მართალია, სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა უნებური უგულებელყოფა მხოლოდ შეეხო ქონების დაზღვევასთან დაკავშირებულ საკითხებს და 1774 წლის სიცოცხლის დაზღვევის შესახებ კანონი ისევ ძალაშია, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმ ფაქტს რომ ინგლისმა სადაზღვევო ინტერესის დოქტრინაზე გარკვეულწილად უარი თქვა.⁵⁹

⁵⁶ *Kosmopoulos v Constitution Co*, 1987

⁵⁷ Gambling act of 2005

⁵⁸ Sharo Michael, A. Regulation Not Prohibition: The Comparative Case Against the Insurable Interest Doctrine *Northwestern Journal of International Law & Business*, 2011, 101

⁵⁹ იქვე, 101.

2.2 სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის ისტორიული საფუძვლები (აშშ-ის მაგალითზე)

ინგლისის მსგავსად ამერიკის შეერთებულ შტატებშიც სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა განვითარდა ორი მიმართულებით: ქონების დაზღვევა („Indemnity contracts“) და სიცოცხლის დაზღვევა („Non-indemnity contracts“). 1803 წელს, საქმეზე Pritchett v Insurance Co. North America⁶⁰, სასამართლომ განმარტა, მათ ბრიტანული მოდელიდან (იგულისხმება 1745 წლის საზღვაო დაზღვევის შესახებ კანონი) გადმოიტანეს კონკრეტული დებულებები და პრინციპები, თუმცა ამავდროულად მიუთითა, რომ ამერიკულ სამართლის სისტემაში გადმოტანილი იქნა მხოლოდ ნაწილი რეგულირებისა. ასევე განიმარტა, რომ დაზღვევის ხელშეკრულების უმთავრეს დანიშნულებას დამზღვევის კომპენსირება წარმოადგენდა. ხელშეკრულების მიზანს არა დამზღვევის მიერ პოზიტიური მოგების მიღება, არამედ შესაძლო ზიანის თავიდან არიდება წარმოადგენდა.⁶¹

სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის მნიშვნელობის ქონების დაზღვევის ხელშეკრულებებში განმარტების შემდეგ, მოწესრიგდა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების განმარტების საკითხი.⁶² მასაჩუსეტსის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ სადაზღვევო ინტერესის არსებობა აუცილებელი იყო სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაში, რომლის მეშვეობითაც დამდაზღვია თავისი მეზღვაური ძმის სიცოცხლე, 1809 წლის დეკემბრიდან 1810 წლის ივლისამდე, სანამ იმ სატვირთო გემზე იმყოფებოდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სასამართლოს თავისი გადაწყვეტილება, რომლითაც მან მიიჩნია რომ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაში აუცილებელი იყო სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის გამოყენება, არ დაუფუძნებია ინგლისური კანონმდებლობის საფუძველზე. სასამართლომ განმარტა, რომ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების დადება შესაბამისი სადაზღვევო ინტერესის გარეშე ეწინააღმდეგებოდა ამერიკაში არსებულ სამართლებრივი სისტემის ზოგად პოლიტიკას.⁶³ იმის დასადგენად კი თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში სადაზღვევო ინტერესი განიმარტა, რომ ძმის სასარგებლოდ დადებულ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაში

⁶⁰ Pritchett v Insurance Co. North America, 1803

⁶¹ Sharo Michael, A. Regulation Not Prohibition: The Comparative Case Against the Insurable Interest Doctrine Northwestern Journal of International Law & Business, 2011, 102

⁶² Lord v Dall, 1815 - მოთ: Sharo Michael, A. Regulation Not Prohibition: The Comparative Case Against the Insurable Interest Doctrine Northwestern Journal of International Law & Business, 2011, 102

⁶³ იქვე, Lord v Dall, 1815

მოსალოდნელი იყო დის მიერ მისი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ინტერესის ქონა.

ამ ორი სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა სადაზღვევო ინტერესის თავდაპირველი გაგება ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამერიკული მოდელი გარკვეულწილად განსხვავდებოდა ინგლისურისგან.

ამერიკელი მოსამართლეები ინგლისელებისგან განსხვავებით გადაწყვეტილებებს კანონმდებლობიდან გამომდინარე არ იღებდნენ, არამედ მათ მიაჩნდათ, რომ სადაზღვევო ინტერესი საჯარო პოლიტიკის სტრუქტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.⁶⁴ თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინგლისურ მოდელსა და ამერიკულ მოდელს შორის საკმაოდ დიდი მსგავსებაც არსებობს, მათ სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა მსგავსი პრინციპების საფუძველზე შეიმუშავეს, მაგრამ აღნიშნული დოქტრინის პრაქტიკაში დასაწერად კი განსხვავებულ საშუალებებს მიმართეს.

სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის განმარტების თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი საქმე⁶⁵, რომელშიც უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ყველა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაში აუცილებელია იყოს კონკრეტული საფუძველი, რომელიც დაფუძნებული იქნება მხარეებს შორის არსებულ ურთიერთობაზე, განურჩევლად იმისა ეს ურთიერთობა იქნება უბრალოდ ეკონომიკურ საწყისებზე დაფუძნებული თუ მათ ნათესაურ კავშირზე. მთავარია, დაზღვეულის სიცოცხლით მხარე გარკვეულ სარგებელს ნახულობდეს რათა მას შემდეგ არ გაუჩნდეს მისი სიცოცხლის მოსწარფვის სურვილი შემდგომი სარგებლის ნახვის მიზნით.⁶⁶ სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სადაზღვევო ინტერესის გარეშე სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება წარმოადგენს თამაშობისა და სანამძლეოს ტიპის გარიგებას, რომლის შემთხვევაშიც ხელშეკრულების დამდები მხარე პირდაპირ არის დაინტერესებული დაზღვეული პირის ადრეული სიკვდილით.

აუცილებელია ასევე აღინიშნოს საქმე⁶⁷, რომელშიც უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ იმ მთავარ გარემოებას რომლის საფუძველზეც ინგლისში სადაზღვევო ინტერესის გარეშე დადებული სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები უარყოფა ხდებოდა, წარმოადგენდა ის ფაქტი რომ მსგავსი

⁶⁴ Sharo Michael, A. Regulation Not Prohibition: The Comparative Case Against the Insurable Interest Doctrine Northwestern Journal of International Law & Business, 2011, 103

⁶⁵ Warnock v. Davis, 1881

⁶⁶ იქვე.

⁶⁷ Grigsby V Russell, 1911

ტიპის გარიგებები მიიჩნეოდა როგორც არაკანონიერი თამაშობისა და სანაძლეოს ტიპის შეთანხმებები.⁶⁸

საუკუნის მიწურულისკენ, ასევე ჩამოყალიბდა სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის შედარებით სრულყოფილი განმარტება: 1) სიცოხლის დაზღვევის ხელშეკრულებისას, სადაზღვევო ინტერესი აუცილებლად უნდა არსებობდეს ხელშეკრულების დადებამდე; 2) თუ სადაზღვევო ინტერესი არ არსებობს დაზღვევის ხელშეკრულება მიჩნეული იქნება ბათილად და მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა არ იქნება საჭირო; 3) წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა დადებული იქნება თამაშობისა და სანაძლეოს ტიპის გარიგებები დადებული იქნეს ადამიანთა სიცოცხლეზე, რომელსაც შესაძლოა შედეგად დაზღვეული სიცოცხლის მოსწრაფება მოჰყვეს.⁶⁹

3. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის არსი

სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის პირდაპირი განმარტება საკმაოდ რთულ საკითხს წარმოადგენს და მცდელობა იმისა, რომ უკეთ აიხსნას ამ კონცეფციის მნიშვნელობა დღესაც აქტუალურია.⁷⁰ თუმცა ზოგადად, დაზღვევის ხელშეკრულებაში, სადაზღვევო ინტერესის არსებობა სახეზეა როდესაც დამზღვევი იღებს გარკვეულ ეკონომიკურ სარგებელს ან რაიმე სხვა სახის უპირატესობას დაზღვევის ობიექტისგან, ხოლო მისი დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში კი იგი განიცდის ზიანს.⁷¹ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის არსებობისთვის აუცილებელია დამზღვევს გააჩნდეს დაზღვეული ქონების შენარჩუნების ინტერესი.⁷² სადაზღვევო ინტერესი არსებობს, თუ გარემოებას რომელშიც დაინტერესებული პირი იმყოფება შეუძლია მას გარკვეული ტიპის ზიანის მიაყენოს ან დაუკარგოს სარგებლის მიღების შესაძლებლობა. ძალიან მნიშვნელოვანია სადაზღვევო ინტერესისა და მომავალში სავარაუდო ზიანის განცდას შორის კავშირის დანახვა, ვინაიდან სწორედ ამაში მდგომარეობს დაზღვევის არსი - დაიცვას დამზღვევის ინტერესი იმ შემთხვევაში როდესაც მას მომავალში შესაძლოა ზიანის საფრთხე ემუქრება.⁷³

⁶⁸ იქვე

⁶⁹ sharo Michael, A. Regulation Not Prohibition: The Comparative Case Against the Insurable Interest Doctrine Northwestern Journal of International Law & Business, 2011, 105

⁷⁰ Фогельсон, Б. Страхование право: теоретические основы и практика применения, 2012, 104.

⁷¹ Sorencen, E. Zielinski, K. The Insurable Interest Doctrine: What is it? And What does it mean?, 2 .

⁷² იქვე, 2

⁷³ Фогельсон, Б. Страхование право: теоретические основы и практика применения, 2012, 105

სადაზღვეო ინტერესის დოქტრინის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მისი მრავლისმომცველი არსის გამო.⁷⁴ „სადაზღვეო ინტერესის დოქტრინა აქტუალურია როგორც დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების, ისე სადაზღვეო ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობების განსაზღვრის თვალსაზრისით.“⁷⁵

როგორც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, „დაზღვევის ინტერესის კატეგორიას კარდინალური მნიშვნელობა ენიჭება და მისი ნათლად გააზრების გარეშე წარმოუდგენელია მკაფიო წარმოდგენა ვიქონიოთ საერთოდ დაზღვევაზე, როგორც რთულ ეკონომიკურ და სამართლებრივ მოვლენაზე“.⁷⁶ ამასთანავე მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სადაზღვეო ინტერესის ცნება დაზღვევის ობიექტისგან. სადაზღვეო ინტერესი ის სამართლებრივი ინტერესია, რომელიც დამზღვევს გააჩნია დაზღვევის ობიექტის მიმართ.⁷⁷ დაზღვევის ობიექტი კი ის სამართლებრივი სიკეთეა რომელზედაც დამზღვევსა და მზღვეველს (სადაზღვეო კომპანია) იდება დაზღვევის ხელშეკრულება. სადაზღვეო ინტერესის ღირებულება შეიძლება გაცილებით აღემატებოდეს დაზღვევის ობიექტის ღირებულებას, ვინაიდან სადაზღვეო ინტერესი მატერიალური და მორალური ინტერესების ერთობლიობაა.⁷⁸

სადაზღვეო ინტერესის დოქტრინა, დაზღვევის ხელშეკრულებაში, ამცირებს მორალური რისკის არსებობას. ვინაიდან, თუ დამზღვევს გააჩნია დაზღვეული ქონების შენარჩუნების ინტერესი, მომავალში მის მიერ ამ ქონების დაზიანების რისკი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. მორალური რისკი განიმარტება, როგორც დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდეგ, დამზღვევის მიერ, დაზღვევის ობიექტისადმი ინტერესის შემცირების ან მისი დაკარგვის საფრთხე.⁷⁹ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სადაზღვეო ინტერესის დოქტრინა ამცირებს მაგრამ ბოლომდე ვერ გამორიცხავს მორალური რისკის დონეს დაზღვევის ხელშეკრულებაში.⁸⁰ სადაზღვეო ინტერესი განიხილება როგორც მორალური რისკის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვან საშუალებად, თუმცა მას

⁷⁴ ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვეო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 85.

⁷⁵ იქვე, 85

⁷⁶ ძაგნიძე, დ. დაზღვევის ინტერესი საზღვაო დაზღვევი ხელშეკრულებაში, "ადამიანი და კონსტიტუცია", თბილისი, N2, 2003, 45.

⁷⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 21 თებერვლის N ას-85-81-2013 განჩინება.

⁷⁸ Cannar, K. Essential Cases in Insurance Law, 1985, 4. - მით: ირემაშვილი, ქ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარები, 14/03/2016წ, www.gccc.ge, 01/06/109, მუხლი 799-ე, ველი 58-ე

⁷⁹ Loshin, J. Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, 2007, 14.

⁸⁰ ირემაშვილი, ქ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარები, 14/03/2016წ, www.gccc.ge, 01/06/109, მუხლი 799-ე, ველი 59-ე

ერთადერთ საშუალებად ვერ ჩავთვლით.⁸¹ დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდეგ, როგორც წესი, მცირდება დამზღვევის სურვილი და მოტივაცია ძველებურად იზრუნოს დაზღვეულ ობიექტზე, რაც ბუნებრივია ზრდის ზიანის განხორციელების ალბათობას.⁸²

თუმცა ამასთანავე უნდა ითქვას, რომ სადაზღვევო ინტერესის როგორც დაზღვევის ობიექტისადმი დამზღვევის სამართლებრივი ან ეკონომიკური კავშირის დადგენა სწორედ რომ მორალური რისკის არსებობითაა განპირობებული. დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდეგ, დამზღვევის მიერ დაზღვევის ობიექტისადმი არაკეთილსინდისიერი, მართლსაწინააღმდეგო ქცევის განხორციელების საფრთხე ბუნებრივია წარმოშობს სადაზღვევო ინტერესის ქონის აუცილებლობას. სადაზღვევო ინტერესის შინაარსის დადგენისას მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ სწორად განსაზღვროს მისი შემადგენლობა.⁸³ უნდა აღინიშნოს, რომ სადაზღვევო დოქტრინაში, ამ თვალსაზრისით სამი განსხვავებული მიდგომაა: სამართლებრივი ინტერესი, ეკონომიკური (ფაქტობრივი) ინტერესი და სამართლებრივი და ეკონომიკური ინტერესების ერთობლიობა.⁸⁴ „ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, სადაზღვევო ინტერესის შემადგენლობის განსაზღვრის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება, რომელშიც საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის უფლების ფლობა სადაზღვევო ინტერესის არსებობის საფუძვლად მიიჩნია.“⁸⁵

3.1 სამართლებრივი ინტერესის თეორიისა და ფაქტობრივი ინტერესის თეორიის შედარება

სადაზღვევო სამართალში, უკვე დიდი ხანია დადგენილია, რომ დამზღვევს უნდა გააჩნდეს სადაზღვევო ინტერესი იმ ქონებაზე რომელსაც ის აზღვევს.⁸⁶ სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის აუცილებლობამ მზღვეველის ინტერესების დაცვის საშუალებასაც წარმოადგენს, რადგან სადაზღვევო ინტერესის არ არსებობაზე მითითებით მას შეუძლია დამზღვევს ანაზღაურებაზე უარის

⁸¹ Loshin, J. Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, 2007, 7

⁸² Baker, T. On the Genealogy of Moral Hazard, 17. - მით: ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 86.

⁸³ ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 89.

⁸⁴ Loshin, J. Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, 2007, 6.

⁸⁵ ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 89

⁸⁶ Sorencen, E. Zielinski, K. The Insurable Interest Doctrine: What is it? And What does it mean?, 2.

განუცხადოს. თუ მზღვეველი მოახერხებს და დაასაბუთებს, რომ დამზღვევეს სადაზღვევო ინტერესი ნამდვილად არ გააჩნდა, სასამართლო ხელშეკრულებას ბათილად მიიჩნევს და ბუნებრივია, რომ სადაზღვევო კომპანიას თანხის გადახდა არ დაეკისრება.⁸⁷

ერთ-ერთ საქმეზე⁸⁸, ბრიტანელმა კაპიტანმა და მისმა ეკიპაჟმა, ესპანეთთან ომის დროს, ესპანური საზღვაო გემი ტყვედ აიყვანა. იმდროინდელი ინგლისური კანონების თანახმად, იმ გემის ეკიპაჟს რომელიც გემს ტყვედ აიყვანდა, მთლიანად გემი და მასზე დატვირთული საქონლით საკუთრებაში გადაეცემოდა.⁸⁹ თუმცა შტორმის შემდეგ გემი ჩაიძირა და შესაბამისად მასზე დატვირთული მთელი ქონებაც დაიკარგა.

ამის შემდეგ კაპიტანმა სადაზღვევო კომპანიისგან მოითხოვა ზიანის ანაზღაურება, თუმცა სადაზღვევომ მას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განუცხადა იმ საფუძველით, რომ მას გემის საკუთრებაში ქონის სამართლებრივი უფლება არ გააჩნდა, ამიტომ მიჩნეულ იქნა, რომ მას მხოლოდ არა სამართლებრივი არამედ ფაქტობრივი დაინტერესება გააჩნდა, რაც მათი აზრით მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის საფუძველს წარმოადგენდა.⁹⁰

სასამართლო გარკვეულწილად დაეთანხმა მოპასუხის მსჯელობას და აღნიშნა, რომ ინგლისელი კაპიტანის ინტერესი ნამდვილად არ წარმოადგენდა სამართლებრივ ინტერესს გემის მიმართ, ვინაიდან შეიძლება გემი სამეფო ფლოტს გადასცემოდა. თუმცა, ამასთანავე ითქვა, რომ მართალია კაპიტანს არ გააჩნდა სამართლებრივი დაინტერესება თუმცა მისი სახეზე იყო ფაქტობრივი ინტერესის თეორიის თანახმად.⁹¹ შესაბამისად, კაპიტანის ფაქტობრივი ინტერესი სრულიად საკმარისი იყო კომპენსაციის მოსათხოვად და იგი უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებშიც არ იყო ერთგვარი პრაქტიკა, რაც კიდევ უფრო ართულებდა სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის სრულფასოვან განმარტებას. ზემოთხსენებული შემთხვევიდან დაახლოებით 20 წლის შემდეგ, ერთ-ერთ საკმაოდ გახმაურებულ საქმეზე⁹² სასამართლომ დავა გადაწყვიტა

⁸⁷ იქვე, 2

⁸⁸ *Les cras v Hughes*, 1782

⁸⁹ იქვე,

⁹⁰ იქვე,

⁹¹ იქვე,

⁹² *Lucena v Craufurd*, 1805

სამართლებრივი ინტერესის თეორიის გამოყენებით.⁹³ საქმის ფაქტობრივი გარემოებები მდგომარეობდა შემდეგში, ინგლისურმა სამხედრო ხომალდებმა ტყვედ რამდენიმე ხომალდი ჩაიგდეს. რის შემდეგაც ეს გემები, ლონდონში დაბრუნებამდე, დაზღვეული იქნა. თუმცა შტორმის გამო გემები დაზიანდა რის გამოც ტვირთის გარკვეული ნაწილი ზღვაში ჩაიძირა, რის გამოც დამზღვევებმა ზიანის ანაზღაურება მოითხოვეს თუმცა სადაზღვევო კომპანიამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.⁹⁴

აღსანიშნავია ისიც რომ ამ საქმის განხილვისას დაფიქსირდა 3 განსხვავებული მოსაზრება სადაზღვევო ინტერესის დოქტრინასთან დაკავშირებით.⁹⁵

მოსამართლე ლოურენსმა განავითარა იგივე მსჯელობა, როგორც *Les cras v Hughes* საქმეში მოსამართლე მენსფილდმა, და მხარი დაუჭირა ფაქტობრივი ინტერესის თეორიის გამოყენებას. მან მიიჩნია, რომ დაზღვევის ხელშეკრულების უმთავრესს მიზანს სწორედ რომ დამზღვევის მოსალოდნელი ზიანისგან დაცვა წარმოადგენდა.⁹⁶ ლოურენსის აზრით: „დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება მდგომარეობს იმაში, რომ დაიცვას არა მარტო ის ადამიანები წინასწარ განუჭვრეტელი მოვლენებისგან, რომლებმაც შესაძლოა ამ მოვლენების დადგომით დიდი ზიანი განიცადონ და დაკარგონ ის ქონება რომელსაც ისინი ფლობენ, არამედ ისინიც რომლებმაც ამ შემთხვევის წყალობით შესაძლოა გარკვეული სარგებელი მიიღონ, მათი ჩარევის გარეშე მოვლენების ჩვეულებრივი განვითარებით“.⁹⁷

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლე ლოურენსმა მიიჩნია, რომ შესაძლებლობა იმისა დაზღვევის ხელშეკრულება გამოყენებული იქნეს ისე როგორც თამაშობისა და სანამდღოს შესახებ გარიგება, არსებობს მხოლოდ მაშინ როდესაც დამზღვევს არ გააჩნია სურვილი შეინარჩუნოს დაზღვეული ქონება. საკუთრების უფლების ქონა დაზღვეულ ქონებაზე არ არის იმის გარანტი, რომ დამზღვევს აუცილებლად ექნება დაზღვეული ქონების შენარჩუნების სურვილი.⁹⁸ თუ ქონების არსებობა სარგებლის მომტანია ბუნებრივია ალბათობა იმისა, რომ პირს მისი დაზიანების სურვილი გაუჩნდეს თითქმის არ არსებობს.

მოსამართლე ლოურენისგან განსხვავებით, საქმის განხილვისას ლორდმა ელდონმა, მხარი დაუჭირა სამართლებრივი ინტერესის თეორიას და განმარტა

⁹³ Sorencen, E. Zielinski, K. The Insurable Interest Doctrine: What is it? And What does it mean?, 3

⁹⁴ *Lucena v Craufurd*, 1805

⁹⁵ Jerry, R. Richmond, D., *Understanding Insurance Law*, 2007, 262

⁹⁶ *Lucena v Craufurd*, 1805

⁹⁷ იქვე.

⁹⁸ Jerry, R. Richmond, D., *Understanding Insurance Law*, 2007, 262

შემდეგი: „ის შუალედური ხაზი, რომელიც არსებობს რაიმე უფლებას, ასევე ხელშეკრულებიდან ნაწარმოებ უფლებასა და უბრალოდ მოლოდინს შორის, მიჩნეულია როგორც სადაზღვევო ინტერესი.⁹⁹ მე უშედეგოდ ვეცადე მეპოვა ის მყარი განმარტება რომელიც არსებობს უბრალო მოლოდინსა და უშუალოდ ფაქტს შორის. მე არ შემიძლია ვთქვა რომ არსებობს სადაზღვევო ინტერესი თუ იგი ნაწარმოები არ იქნა ქონებაზე საკუთრების უფლებიდან, ან კონკრეტული ქონებრივი ხელშეკრულებიდან. მართალია, განსახილველ საქმეში, დამზღვევის ფაქტობრივი მოლოდინის არსებობა აშკარაა, მაგრამ იგი ვერ იქნება მიჩნეული როგორც ინტერესი, მიუხედავად მისი ფაქტობრივი მოლოდინის საფუძვლიანობისა. თუ ჩავთლით, რომ შინაგანი, ფაქტობრივი მოლოდინი საკმარისი საფუძველია სადაზღვევო ინტერესის არსებობისთვის მაშინ დაზღვევის უფლება ასობით, ათასობით პირს უსაფუძვლოდ წარმოექმნება. ამ ლოგიკის თანახმად ყველა იმ პირს, ვისაც კი გემზე არსებულ ქონებაზე რაიმე შემხებლობა ჰქონდა და შეეძლო მიეღო მისგან რაიმე სარგებელი, გააჩნია სადაზღვევო ინტერესი, რაც ბუნებრივია ასე არაა.“¹⁰⁰

შესაბამისად, მოსამართლე ელდონის აზრით სადაზღვევო ინტერესის არსებობისთვის აუცილებელი იყო საკუთრების უფლების ქონა ქონებაზე დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას.

მოკლედ რომ ვთქვათ, ლორდი ელდონის მოსაზრებით სადაზღვევო ინტერესის არსებობისთვის აუცილებელი იყო სამართლებრივად მავალდებულებელი უფლება.¹⁰¹

აღსანიშნავია ისიც, რომ ლორდმა ელდონმა გამოკვეთა ფაქტობრივი ინტერესის თეორიის ნაკლოვანებები. თუ მივიჩნევთ, რომ ნებისმიერ პირს შეეძლო დაეზღვია გემი მისი საკუთრების უფლების დადასტურებამდე, მაშინ თამაშობისა და სანადლეოს ტიპის გარიგება გვექნებოდა სახეზე - ზუსტად ის პრობლემა რომლის აღმოფხვრასაც ინგლისის პარლამენტი ასე დაუღალავად ცდილობდა.¹⁰²

მესამე მოსაზრება რომელიც იქნა დაფიქსირებული ამ საქმის მსვლელობისას შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც კიდევ ერთი შეხედულება სადაზღვევო ინტერესის დოქტრინაზე. ბარონ გრაჰამისა და მისი ექვსი თანამოაზრის მოსაზრებით კი სადაზღვევო ინტერესი მხოლოდ მაშინ გვაქვს სახეზე როდესაც,

⁹⁹ Lucena v Craufurd, 1805

¹⁰⁰ იქვე.

¹⁰¹ Jerry, R. Richmond, D., Understanding Insurance Law, 2007, 264

¹⁰² Sorencen, E. Zielinski, K. The Insurable Interest Doctrine: What is it? And What does it mean?, 3

ორივე, სამართლებრივი ინტერესი და ფაქტობრივი ინტერესი კუმულაციურად არსებობს.¹⁰³

აღნიშნული მოსაზრება, 1951 წელს, პროფესორი ვანსის მიერ იქნა გამეორებული. მან სადაზღვევო ინტერესი განმარტა, როგორც „მოლოდინი დაფუძნებული სამართლებრივ საფუძველზე“.¹⁰⁴ მსჯელობის საგანია თუ რითი განსხვავდება ეს ფორმულირება სამართლებრივი ინტერესის თუ ფაქტობრივი ინტერესის თეორიისგან. თუმცა ფაქტია, რომ იგი ამ ორი თეორიის გაერთიანების ერთგვარი პირმშოა, მათი შუალედური ხაზი.

რაც შეეხება სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის ამერიკულ გაგებას, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ, ერთ-ერთ საქმეზე¹⁰⁵ განმარტა, რომ დამზღვევეს უნდა გააჩნდეს სადაზღვევო ინტერესი დაზღვეული ქონების მიმართ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ქონების დაზიანებისას, სადაზღვევო კომპანიისგან კომპენსაციას ვერ მიიღებს.

აზრთა სხვადასხვაობაა ამერიკულ იურისპრუდენციაში. მეცნიერთა ნაწილი ფაქტობრივი მოლოდინის თეორიას ემხრობა ნაწილი კი სამართლებრივი ინტერესის თეორიას მიიჩნევს უპირატესად. რაც შეეხება სასამართლო სისტემას, უმეტესობა სასამართლოებისა იყენებს ფაქტობრივი ინტერესის თეორიას თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით ერთგვარი სასამართლო პრაქტიკა მაინც არ არსებობს.¹⁰⁶

თუმცა, კითხვა ისევ პასუხგაუცემელი რჩება, სადაზღვევო ინტერესის არსებობისთვის საკმარისია ფაქტობრივი ინტერესი თუ სამართლებრივი ინტერესის არსებობაა აუცილებელი?¹⁰⁷

ფაქტობრივი ინტერესის თეორია, დამზღვევის მიერ სადაზღვევო ინტერესის ქონისთვის არ საჭიროებს დაზღვეულ ქონებაზე საკუთრების უფლების ქონას. ეს თეორია, საკუთრების უფლების გვერდის ავლით, ცდილობს დაასაბუთოს დამზღვევის ფაქტობრივი მოლოდინი, მისი დაინტერესება დაზღვეულ ქონებაში.¹⁰⁸ თუმცა, აღსანიშნავია ამ თეორიის ნაკლოვანებებიც. მთელ რიგ შემთხვევებში ძალიან ძნელი დასადგენია დამზღვევეს, დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას, გააჩნდა თუ არა სადაზღვევო ინტერესი. რაც

¹⁰³ Jerry, R. Richmond, D., Understanding Insurance Law, 2007, 264

¹⁰⁴ Vance, W. Handbook of the Law of Insurance, 1951, 156-157 - მით: Jerry, R. Richmond, D., Understanding Insurance Law, 2007, 264

¹⁰⁵ Connecticut Mutual Life Insurance v Schaefer, 1876

¹⁰⁶ Sorencen, E. Zielinski, K. The Insurable Interest Doctrine: What is it? And What does it mean?, 5

¹⁰⁷ იქვე, 5

¹⁰⁸ იქვე, 5

ბუნებრივია პრობლემას ქმნის სასამართლოებისთვისაც, ვინაიდან თითქმის შეუძლებელია დაზუსტებით შეაფასო დამზღვევის ფაქტობრივ მოლოდინი, მის ინტერესი ხელშეკრულების დადებისას.

სამართლებრივი ინტერესის თეორია, ფაქტობრივი ინტერესის თეორიისგან განსხვავებით, არ მოითხოვს დამზღვევის სუბიექტური მოლოდინის შეფასებას. ამ თეორიის თანახმად, სადაზღვევო ინტერესის არსებობის დასადასტურებლად საკმარისია დამზღვევის საკუთრების უფლება დაზღვეულ ქონებასთან მიმართებით. შესაბამისად, სამართლებრივი ინტერესის თეორია გაცილებით უფრო მარტივად გამოსაყენებელია, რადგან პირს ან გააჩნია საკუთრების უფლება დაზღვევის ობიექტზე ან არა.¹⁰⁹

როგორც უკვე ავლნიშნე, სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა ემსახურება თამაშობისა და სანაძლეოს ტიპის გარიგებების თაღლითობისა და ამავედროულად მორალური რისკის შემცირებას დაზღვევის ხელშეკრულებებში. თაღლითობისა და თამაშობა სანაძლეოს ტიპის გარიგებები შედარებით მარტივად განსასაზღვრია, თუმცა მორალური რისკის შემთხვევაში საკითხი ასე მარტივი არაა. მორალური რისკი არის „რისკი რომელიც წარმოიშობა მენტალური დამოკიდებულებიდან“.¹¹⁰ დამოკიდებულებაში ასევე მოიაზრება არაკეთილსინდისიერება, უპასუხიმგებლობა რომელიც შემდგომ წარმოშობს რისკს იმისა, რომ დამზღვევი გაანადგურებს დაზღვეულ ქონებას ან შექმნის მისი სხვის მიერ განადგურების შესაძლებლობას, რათა მან შემდგომ გარკვეული სარგებელი მიიღოს.¹¹¹

სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა სწორედ, რომ ამ ზემოთხსენებული რისკების შემცირებას ემსახურება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ მექანიზმის არ არსებობის გარეშე, დაზღვევის ხელშეკრულება უბრალოდ იქნებოდა საშუალება არაკანონიერი ქმედებებით დამზღვევს მიეღო სარგებელი, დაზღვეული ქონების განადგურებით.

იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევს ხელშეკრულების დადებისას არ გააჩნია ინტერესი ან გააჩნია მცირე ინტერესი ქონების შესანარჩუნებლად ბუნებრივია მორალური რისკი საფრთხე იზრდება, ვინაიდან პირმა იცის რომ ქონების განადგურების შემთხვევაში იგი კომპენსაციას მიიღებს სადაზღვევო

¹⁰⁹ Esaam Saad A. G. Insurable interest in property insurance: A comparative study amongst English, Canadian and Saudi Arabian laws, 2006, 65

¹¹⁰ BLACK'S LAW DICTIONARY, 8-th edition, 2004

¹¹¹ Rejda, G. Principles of Risk Management and Insurance, 2005, 5-6

კომპანიისგან, ეს კი მის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებას უწყობს ხელს.¹¹²

ფაქტობრივი ინტერესის თეორიის თანახმად, ქონების დაზღვევისას საკუთრების უფლების არ ქონა ავტომატურად არ ნიშნავს სადაზღვევო ინტერესის არ ქონას. როდესაც სამართლებრივი ინტერესის თეორია შეზღუდულია და ადგენს რომ სადაზღვევო ინტერესისთვის აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი უფლების ქონა, ფაქტობრივი ინტერესის თეორია გაცილებით უფრო მოსახერხებელია და სასამართლოებს აძლევს ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას იმის განსასაზღვრად არსებობს თუ არა სადაზღვევო ინტერესი დაზღვევის ხელშეკრულებისას.¹¹³ თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ სასამართლოებისადმი ზედმეტად ფართო დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭებაც სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის განხილვისას, არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან თუ არ იარსებებს მყარი სამართლებრივი ბერკეტები და ყოველი ცალკეული საქმის განხილვისას შესაძლებელი იქნება მოსამართლემ განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღოს ერთგვარი სასამართლო პრაქტიკა ვერ ჩამოყალიბდება, რაც დოქტრინის შემდგომ განვითარებაზე უარყოფითად აისახება. ბევრ სასამართლო გადაწყვეტილებაში სადაზღვევო ინტერესი განმარტებულია, როგორც „ინტერესი რომელიც წარმოიშობა ნივთის ფლობიდან ან მოგების მიღებიდან კონკრეტული ქონებიდან“.¹¹⁴

ერთ-ერთ საქმეზე,¹¹⁵ კოლუმბიის ოლქის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია რომ სადაზღვევო ინტერესი არსებობდა მიუხედავად იმისა, რომ დამზღვევს არ გააჩნდა არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი ინტერესი დაზღვეულ ქონებაში. სასამართლომ განმარტა, დაიქირავო ფართი კონკრეტულ შენობაში არასაკმარისია იმისათვის რომ გქონდეს სადაზღვევო ინტერესი, თუმცა ინტერესი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში თუ „დამქირავებელი კონკრეტული ქონებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული“.¹¹⁶ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ სადაზღვევო ინტერესი არსებობს მაშინ თუ დამქირავებელი გარკვეულ სარგებლობას ნახულობს და ამ კონკრეტული ქონების დაზიანების შემთხვევაში კი მან ზიანი უნდა განიცადოს.

¹¹² Kalis, P. Reiter, T. Segerdahl, J. Insurance Coverage Litigation, 2005 - მოთ: Sorencen, E. Zielinski, K. The Insurable Interest Doctrine: What is it? And What does it mean?, 8

¹¹³ Sorencen, E. Zielinski, K. The Insurable Interest Doctrine: What is it? And What does it mean?, 8

¹¹⁴ იქვე, 9

¹¹⁵ Technical Land Inc v Firemen Insurance Company of Washington, 2000

¹¹⁶ იქვე,

საინტერესოა ასევე საქმე,¹¹⁷ რომელშიც სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სადაზღვევო ინტერესი ჯერ კიდევ არ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობებზე, თუმცა უძრავი ქონების შესყიდვა უნდა დაედასტურებინა გაკოტრების სასამართლოს.¹¹⁸ სასამართლოს მიერ ხელშეკრულების დადასტურებამდე, ქონება განადგურდა. თუმცა, საქმის განმხილველმა სასამართლომ მიიჩნია რომ მყიდველს გააჩნდა სადაზღვევო ინტერესი, რადგან მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება გაკოტრების სასამართლოს მიერ დიდი ალბათობით იქნებოდა დადასტურებული, ამიტომ მორალური რისკის არსებობის საფრთხე მინიმუმამდე იყო დაყვანილი. სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულების დადებისას სადაზღვევო ინტერესის არსებობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ალბათობის რა ოდენობით დაიდება ხელშეკრულება მხარეთა შორის.¹¹⁹ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფაქტობრივი ინტერესის თეორიის პოპულარობამ განაპირობა, სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის არსებობისთვის აუცილებელი ელემენტების უფრო ფართო განმარტება. ეს კი დამზღვევის ინტერესებისთვის სარგებლის მომტანია, რადგან ფართოდ განმარტების შესაძლებლობა სასამართლოებს აძლევს საშუალებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გაცილებით მარტივად დაადგინონ სადაზღვევო ინტერესის არსებობა დაზღვევის ხელშეკრულებაში. სამართლებრივი ინტერესის თეორია კი უფრო მზღვეველის ინტერესების დაცვის საშუალებაა, ვინაიდან მიიჩნევა რომ სადაზღვევო ინტერესი არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც დამზღვევს გააჩნია სამართლებრივი უფლება კონკრეტულ ქონებაზე.¹²⁰

3.2 სამართლებრივი ინტერესის თეორია და მისი შემადგენელი ელემენტები

სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სამართლებრივი ინტერესის თეორიის გამოყენებისას იმისათვის რომ დადგინდეს სადაზღვევო ინტერესის არსებობა საჭიროა სახეზე გვქონდეს შემდეგი სამი ელემენტი: საკუთრების უფლება დაზღვევის ობიექტზე, ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები ან სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსებობდა.¹²¹ ამ ელემენტების არ

¹¹⁷ Teague-Strebeck Motors Inc v Chrysler Ins, 1999

¹¹⁸ იქვე,

¹¹⁹ იქვე,

¹²⁰ Sorencen, E. Zielinski, K. The Insurable Interest Doctrine: What is it? And What does it mean?, 9

¹²¹ Jerry, R. Richmond, D., Understanding Insurance Law, 2007, 265

არსებობისას კი სადაზღვევო პოლისი ბათილად ჩაითვლება და იგი აღარ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ერთ-ერთ საქმეზე,¹²² კომპანიამ დააზღვია ხიდი, რომელიც საავტომობილო გზასთან ერთადერთ დამაკავშირებელ საშუალებას წარმოადგენდა. ხიდი შემთხვევითი გარემოების გამო მძიმედ დაზიანდა, დავის საგანს კი წარმოადგენდა ის გარემოება ჰქონდა თუ არა დამზღვევს სადაზღვევო ინტერესი.¹²³ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დამზღვევმა, ხიდი მშენებლობისას, საჭირო სახსრების მესამედი თავისი ნებით გაიღო, თუმცა მას დაზიანების შემდგომი რეკონსტრუქციისთვის თანხის გაღების არანაირი სამართლებრივი ვალდებულება არ ჰქონდა. გამომდინარე აქედან სასამართლომ მიიჩნია რომ დამზღვევს არ გააჩნდა სადაზღვევო ინტერესი. „ქონების დაზღვევისას სადაზღვევო ინტერესის არსებობისთვის აუცილებელია, არსებობდეს ინტერესი, რომელიც კანონის თანახმად იქნება შესასრულებლად სავალდებულო.“¹²⁴

3.2.1 საკუთრების უფლება

დაზღვეულ ქონებაზე საკუთრების უფლების ქონა სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ჩავთვალოთ დამზღვევს დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას გააჩნდა სადაზღვევო ინტერესი. სადაზღვევო ინტერესი ასევე არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც მიუხედავად დამზღვევის გარდაცვალებისა მას დარჩა მემკვიდრეები. მართალია დამზღვევი ობიექტური რეალობიდან გამომდინარე ვერ მიიღებს შესაბამის კომპენსაციას, მაგრამ მის მემკვიდრეებს გააჩნიათ ინტერესი რომელიც სრულიად საკმარისია სადაზღვევო ინტერესის არსებობის დასადასტურებლად.¹²⁵

დაზღვეულ ქონებაში მემკვიდრეთა სამომავლო ინტერესიც კი საკმარისია იმისათვის, რომ სადაზღვევო ინტერესი გვექონდეს სახეზე. სასამართლოებმა სადაზღვევო ინტერესის არსებობა დაადგინეს იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც დაზღვევის ობიექტი ხელშეკრულების დადების მომენტში ჯერ კიდევ არ არსებობდა, მაგრამ მხარეები შეთანხმებულები იყვნენ რომ დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში მომავალში შევიდოდა და მხოლოდ იმ პირობით თუ დამზღვევს დაზღვეულ ქონებაზე, ექნებოდა სადაზღვევო ინტერესი.¹²⁶ აღნიშნული მნიშვნელოვან ეკონომიკურ მექანიზმს წარმოადგენს საზღვაო

¹²² Farmers' Mutual Insurance Co v New Holland Turnpike Road Co., 1888

¹²³ იქვე,

¹²⁴ იქვე,

¹²⁵ Jerry, R. Richmond, D., Understanding Insurance Law, 2007, 265

¹²⁶ Musselman v. Mountain West Farm Bureau Mutual Insurance, 1992

დაზღვევის ხელშეკრულებებშიც, გემის მეპატრონეებს შეუძლიათ დააზღვიონ ის ტვირთი რომელიც მათ უნდა მომავალში უნდა გადაზიდონ.¹²⁷

საკმაოდ საინტერესოა ასევე საქმე,¹²⁸ რომელშიც ორმა მეგობარმა შეიძინა კომერციული ქონება ნიუ-ჯერსიში. ორი წლის შემდეგ „ა“ გაკოტრდა, რის შედეგადაც მეგობრებმა საერთო შეთანხმებით, ეს ქონება „ბ“-ის სახელზე ერთ დოლარად გადააფორმეს.¹²⁹ თუმცა „ბ“ ნებას რთავდა „ა“-ს, ქონება მისი სურვილისამებრ ბიზნესისთვის გამოეყენებინა. აგრეთვე „ა“-ს სახელზე გაცემული იქნა მინდობილობა, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევდა, სურვილისამებრ, ემართა ეს კომერციული ფართი. „ა“ ნაკისრ ვალდებულებას პირნათლად ასრულებდა და ასევე ის ასრულებდა საგადასახადო ვალდებულებებსაც.¹³⁰ „ბ“ კი რომელსაც საკუთრების უფლება გააჩნდა არ იღებდა „ა“-სგან ფართის სარგებლობის ქირას, ასევე თვითონ არ იხდიდა გადასახადებს. როდესაც ქონება დაზიანდა „ბ“-მ სადაზღვევო კომპანიისგან მოითხოვა შესაბამისი კომპენსაციის გადახდა, თუმცა სადაზღვევომ უარი განაცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და მიუთითა, რომ მას არ გააჩნდა სადაზღვევო ინტერესი, რადგან მონაწილეობას არ იღებდა ქონების მართვაში.¹³¹

სასამართლო არ დაეთანხმა სადაზღვევო კომპანიის მსჯელობას და განმარტა, რომ მიუხედავად იმისა „ბ“ არ იღებდა ქონების მართვაში არანაირ მონაწილეობას იგი კვლავ რჩებოდა კომერციული ფართის მესაკუთრედ. ასევე, თუ „ა“-ს მიერ არ მოხდებოდა საგადასახადო ვალდებულებების შესრულება ბუნებრივია პასუხს აგებდა არა „ა“, არამედ „ბ“ როგორც მესაკუთრე.¹³²

შესაბამისად, სასამართლომ სამართლიანად მიიჩნია რომ სადაზღვევო ინტერესის არსებობა არ იყო სადავო, რადგან სადაზღვევო ინტერესის არსებობა სახეზეა არა მარტო მაშინ როდესაც დამზღვევი იღებს გარკვეულ ეკონომიკურ სარგებელს ან რაიმე სხვა სახის უპირატესობას დაზღვევის ობიექტისგან, არამედ მაშინაც როდესაც მისი დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში კი იგი განიცდის ზიანს.

აღსანიშნავია ისიც, სადაზღვევო ინტერესი ქონებაზე გააჩნია უძრავი ქონების მყიდველსაც, მიუხედავად იმისა რომ მხარეთა შორის ნასყიდობის

¹²⁷ Jerry, R. Richmond, D., *Understanding Insurance Law*, 2007, 265

¹²⁸ *Balentine v New Jersey Insurance Underwriting Association*, 2009

¹²⁹ იქვე,

¹³⁰ იქვე,

¹³¹ იქვე,

¹³² იქვე,

ხელშეკრულება ჯერ ბოლომდე არ დადებულია.¹³³ თუმცა იმ შემთხვევაში თუ ნასყიდობის ხელშეკრულება დამოკიდებულია სამომავლო პირობებზე, რომელიც დიდი ალბათობით არ განხორციელდება, მაშინ ჩაითვლება რომ პოტენციურ მყიდველს არ გააჩნია სადაზღვევო ინტერესი.¹³⁴

3.2.2 ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები

დადგენილია რომ პირს, რომელსაც გააჩნია კონკრეტული ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება რომლის არსებობაც პირდაპირ არის დამოკიდებული ქონების განგრძობად არსებობაზე, გააჩნია სადაზღვევო ინტერესი ამ ქონებაზე დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებაში.¹³⁵

აღნიშნულის მაგალითს წარმოადგენს, უზრუნველყოფილი კრედიტორის შესაძლებლობა, იპოთეკით დატვირთული ქონება ჩამოართვას მოვალეს თუ მან გადახდების თავის დროს ვერ განახორციელა. უზრუნველყოფილ კრედიტორს გააჩნია სადაზღვევო ინტერესი ქონებაზე რომელიც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს.¹³⁶

მაგალითისთვის წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: „ა“-მ დადო ბანკთან საბანკო კრედიტის ხელშეკრულება და ისესხა 1 მილიონი ლარი. ბანკის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად კი თავისი საცხოვრებელი სახლი იპოთეკით დატვირთა. ამ შემთხვევაში ბანკს გააჩნია სადაზღვევო ინტერესი იპოთეკით დატვირთულ სახლთან მიმართებით, რადგან იგი მისი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა, რომლის დაზიანების შემთხვევაში ბანკის ინტერესები შეილახება.

ერთ-ერთ საქმეზე,¹³⁷ საზღვაო ტვირთის გადამზიდმა დააზღვია შაქარი რომელიც ფილიპინებიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა გადაეტანათ. მიუხედავად იმისა, რომ გადაზიდვის ხელშეკრულებაში პირდაპირ იყო მითითებული ტვირთის ჩატანის გარეშე მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დაიდებოდა და ტვირთს ამერიკამდე არასდროს მიუღწევია, სასამართლომ მიიჩნია რომ დამზღვევს გააჩნდა სადაზღვევო ინტერესი ტვირთის გადაზიდვის მომენტში.¹³⁸ ამ შემთხვევაში სასამართლომ სადაზღვევო ინტერესის არსებობა დაუკავშირა არა ტვირთზე საკუთრების უფლებას არამედ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცდილ ეკონომიკურ

¹³³ Jerry, R. Richmond, D., Understanding Insurance Law, 2007, 268

¹³⁴ იქვე, 268

¹³⁵ Jerry, R. Richmond, D., Understanding Insurance Law, 2007, 269

¹³⁶ იქვე, 269

¹³⁷ Harrison v Fortlage, 1896

¹³⁸ იქვე,

დანაკარგს.¹³⁹ ამ შემთხვევაში სამართლებრივი ინტერესის ინტერესის თეორიისა და ფაქტობრივი ინტერესის თეორიის საინტერესო ურთიერთკავშირი გვაქვს სახეზე. თუნდაც ჩავთვალოთ, რომ ხელშეკრულებით მონიჭებული უფლებამოსილება „სამართლებრივი ინტერესია“, ხელშეკრულებით მონიჭებული უფლების არსი მაინც მხარის მოლოდინია, რომელიც გამოწვეულია მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებით. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ამ მოლოდინის განხორციელება დამოკიდებულია დაზღვეული ქონების განგრძობად არსებობაზე, მაშინ ხელშეკრულების მხარეს გააჩნია სადაზღვევო ინტერესი ამ ქონებაზე.¹⁴⁰

3.2.3 სამართლებრივი პასუხისმგებლობა

თუ პირს დაზღვეული ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მიიჩნევა, რომ მას აქვს სადაზღვევო ინტერესი ამ ქონებაში. მაგალითისთვის შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემთხვევა, როდესაც ხელოსანს ჩააბარეს გარკვეული ქონება მისი შემდგომი შეკეთების მიზნით. ამ ქონების შემდგომი დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში კი მას სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება, ამიტომაც შეგვიძლია მივიჩნიოთ რომ მას გააჩნია სადაზღვევო ინტერესი.¹⁴¹

თუმცა ეს ინტერესი უნდა განვასხვავოთ იმ სადაზღვევო ინტერესისგან რომელიც პირს თავისი პირადი პასუხისმგებლობის დაზღვევისას გააჩნია. პასუხისმგებლობის დაზღვევისას სადაზღვევო კომპანია დაზღვევს კომპენსაციას მისი ქონების დაზიანების შემთხვევაში არ უხდის, არამედ ის კისრულობს იმ პასუხისმგებლობას რომელიც დამზღვევს შეიძლება მესამე პირებთან ურთიერთობაში დაეკისროს. პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანია, ერთი მხრივ სამართალდარღვევის პრევენცია,¹⁴² მეორე მხრივ კი კომპენსაციის უზრუნველყოფა დამდგარი ზიანისათვის. პასუხისმგებლობის დაზღვევისას ზიანი ანაზღაურდება დაზღვეულის სასარგებლოდ (რომელიც ამ შემთხვევაში მესამე პირს წარმოადგენს), ხოლო ზიანის პრევენცია მიმართულია დამზღვევის მიმართ.¹⁴³ შესაბამისად, როგორც საკუთარი სიცოცხლის დაზღვევის

¹³⁹ Jerry, R. Richmond, D., Understanding Insurance Law, 2007, 270

¹⁴⁰ იქვე, 270

¹⁴¹ Jerry, R. Richmond, D., Understanding Insurance Law, 2007, 271

¹⁴² ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 113

¹⁴³ იქვე, 113

შემთხვევაში, ასევე პირადი პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს ივარაუდება რომ სადაზღვევო ინტერესი სახეზეა.

3.3 ფაქტობრივი ინტერესის თეორია

კალიფორნიის სადაზღვევო კოდექსის თანახმად იმისათვის, რომ პირს გააჩნდეს ქონებაზე სადაზღვევო ინტერესი საკმარისია ნებისმიერი სახის დაინტერესების არსებობა. შესაბამისად, კალიფორნიის სამართალი უპირატესობას ანიჭებს ფაქტობრივი ინტერესის თეორიის გამოყენებას, ვინაიდან იგი სადაზღვევო ინტერესის არსებობისთვის არ ითხოვს ქონებაში საკუთების უფლების ქონას.¹⁴⁴

მაგალითისთვის, ერთ-ერთ საქმეზე¹⁴⁵ კალიფორნიის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „მიუხედავად იმისა დამზღვევის ინტერესის დაფუძნებულია საკუთრების უფლებაზე, გირავნობის ხელშეკრულებაზე თუ სხვა ტიპის კანონიერ ურთიერთობაზე დამზღვევს გააჩნია სადაზღვევო ინტერესი, თუ მას დაზღვევის ობიექტის განადგურებით მიადგება პირდაპირი ეკონომიკური ზიანი.“¹⁴⁶

ფაქტობრივი ინტერესის თეორია გამოიყენება ამერიკის სხვა შტატებშიც. ერთ-ერთ საქმეზე¹⁴⁷ ინდიანის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აუცილებელი არ იყო დამზღვევს ჰქონოდა საკუთრების უფლება ქონებაზე ან მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებიდან გამომდინარე ინტერესი, სადაზღვევო ინტერესის არსებობისთვის.

ფაქტობრივი ინტერესის თეორია გაცილებით უფრო ფართოდ განიმარტება ვიდრე სამართლებრივი ინტერესის თეორია. ფაქტობრივი ინტერესის თეორია შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც მოლოდინი ეკონომიკური სარგებლის მიღებისა თუ დაზღვეული ქონება გააგრძელებს არსებობას ან მოლოდინს იმისა, რომ დამზღვევმა აუცილებლად უნდა განიცდოს ეკონომიკური ზიანი თუ დაზღვეული ქონება გადანგურდა.¹⁴⁸ მოლოდინი უნდა იყოს საფუძვლიანი და ამასთანავე დამზღვევს უნდა გააჩნდეს დაზღვევის ობიექტთან კავშირი, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებს მის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. შესაბამისად, დაზღვევის ობიექტთან იშვიათი შემხებლობა არ არის საკმარისი სადაზღვევო ინტერესის არსებობისათვის.

¹⁴⁴ Sorencen, E. Zielinski, K. The Insurable Interest Doctrine: What is it? And What does it mean?, 9

¹⁴⁵ Ann Burns v California Fair Plan, 2007

¹⁴⁶ იქვე,

¹⁴⁷ United Farm Bureau Mutual Insurance Company v Blanton, 1985

¹⁴⁸ Delk v Markel American Insurance Company, 2003 - მით: Jerry, R. Richmond, D., Understanding Insurance Law, 2007, 271

სადაზღვევო ინტერესი არ წარმოიშობა დამზღვევის უბრალო მოლოდინით რომ შესაძლოა მომავალში მას ქონების მესაკუთრემ ქონება დაუტოვოს.¹⁴⁹

სადავოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დამზღვევს უნდა გააჩნდეს სადაზღვევო ინტერესი დაზღვევის ობიექტის მიმართ არა მარტო ხელშეკრულების დადებისას, არამედ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროსაც. ერთ-ერთ საქმეზე,¹⁵⁰ მისურის უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ დამზღვევს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ქონების მიმართ სადაზღვევო ინტერესი არა მარტო ხელშეკრულების დადების მომენტში არამედ მაშინაც, როდესაც სადაზღვევო შემთხვევა დადგება.

თუმცა ეს წესი შემსუბუქებულია ქონებრივი დაზღვევის შემდეგ ფორმებში: 1) საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულებებში, რომლის დროსაც შესაძლოა მოხდეს მომავალში შესაძენი ტვირთის ღირებულების ანაზღაურება; 2) ადვილად გადაადგილებად ნივთებზე¹⁵¹ დადებული დაზღვევის ხელშეკრულებისას, ხელშეკრულების დადების შემდეგ შეძენილ ქონებაზე; 3) სამომავლო გადაზღვევა და 4) დაკარგული და თავიდან მოპოვებული ქონება, დროის ის პერიოდი როდესაც დამზღვევს არ გააჩნდა სადაზღვევო ინტერესი.¹⁵² იგულისხმება პერიოდი რომლის განმავლობაშიც ქონება დაკარგული იყო.

საინტერესოა ასევე საქმე,¹⁵³ რომელშიც კორპორაციას ჰქონდა შეთანხმება დადებული შეეძინა უძრავი ქონება, თუმცა აღნიშნული გარიგება საჭიროება გაკოტრების სასამართლოს მიერ მის დადასტურებას. თუმცა ქონება ხანძარმა გაანადგურა სანამ მხარეებს შორის ხელშეკრულება დაიდებოდა. ნიუ მექსიკოს სასამართლომ მიიჩნია, რომ კორპორაციას ექნებოდა სადაზღვევო ინტერესი თუ „მხარეებს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება, ხანძრის არ არსებობისას, გაკოტრების სასამართლოს მიერ იქნებოდა დადასტურებული.“¹⁵⁴

აღსანიშნავია საქმე,¹⁵⁵ რომელშიც პირმა სპეციალური პროგრამით შეიძინა სატვირთო მანქანა მისი დამსაქმებლისგან, საავტომობილო მწარმოებლისგან. სპეციალური პროგრამა სთავაზობდა დასაქმებულს ფასდაკლებას იმ შემთხვევაში თუ იგი ავტომობილის საკუთრების უფლებას ერთი წლის მანძილზე შეინარჩუნებდა. პირმა ეს ავტომობილი მისი სიძისთვის შეიძინა, რომელიც მას

¹⁴⁹ Edwards v Alabama Farm Bureau Mutual Casualty Insurance Company, 1986

¹⁵⁰ Dimmitt v Progressive Casualty Insurance Company, 2003

¹⁵¹ Floater policies,

¹⁵² Sorencen, E. Zielinski, K. The Insurable Interest Doctrine: What is it? And What does it mean?, 11

¹⁵³ Teague-Strebeck Motors Inc. v Chrysler Insurance Company, 1999

¹⁵⁴ იქვე,

¹⁵⁵ Faygal v Shelter Insurance Company, 1985

ექსკლუზიურად ფლობა და მიიჩნევა როგორც საკუთარს, აგრეთვე იხდიდა მისი შენახვისთვის ყველა საჭირო ხარჯს.

ერთი წლის შემდეგ კი საკუთრების უფლება სიძეზე უნდა გადასულიყო. თუმცა, სატვირთო მანქანა დაზღვევისას სადაზღვევო კომპანიამ დაზღვევის პოლისი სიძეზე გასცა.¹⁵⁶ სიძე ამტკიცებდა რომ მან მზღვევლს შეატყობინა, მის მიერ სატვირთო ავტომობილზე საკუთრების უფლების არ ქონის შესახებ. თუმცა სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლება უარყვეს აღნიშნული ფაქტი. სატვირთო ავტომობილის ქურდობის შემდეგ კი სადაზღვევო კომპანიამ უარი განაცხადა კომპენსაციის გაცემაზე იმ საფუძველით, რომ სიძეს არ ჰქონდა სადაზღვევო ინტერესი.¹⁵⁷

უნდა ითქვას, რომ მისურის კანონმდებლობა ნებისმიერ პირს უკრძალავს ავტომობილის გაყიდვას საკუთრების დამადასტურებელი სერთიფიკატის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მიიჩნევა რომ ხელშეკრულება ბათილია.¹⁵⁸

შესაბამისად, აღნიშნულ დადგენილებაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ მას არ გააჩნდა სადაზღვევო ინტერესი და კომპენსაციას ვერ მიიღებდა მიღებული დანაკარგებისთვის.¹⁵⁹ მოსარჩელეს არ გააჩნდა საკუთრების უფლება და ასევე არ გააჩნდა მავალდებულებელი სახელშეკრულებლო უფლება, მისურის კანონმდებლობიდან გამომდინარე. თუმცა მას ნამდვილად ჰქონდა ფაქტობრივი ინტერესი სატვირთო ავტომობილის ქონაში, ეკონომიკური სარგებლიდან გამომდინარე.

ამ შემთხვევაში მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის საფუძველი გახდა ის, რომ სადაზღვევო პოლისი გაცემული იყო სიძის სახელზე. მართალია იგი ავტომობილს იყენებდა როგორც საკუთარს, მაგრამ მას საკუთრების უფლება არ გააჩნდა. ეს კი მისურის კანონმდებლობის უხეში დარღვევა იყო, რადგან კანონმდებლობით იკრძალებოდა ავტომობილის გაყიდვა საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის გარეშე.

საინტერესოა ასევე განმარტება საქმეში,¹⁶⁰ რომელშიც განიმარტა: „თუ დაზღვეულის სადაზღვევო ინტერესი არ მოიცავს მთლიანად ქონებას, მაშინ დაზღვეული უფლება მოითხოვოს კომპენსაცია იქნება შეზღუდული არა ქონების ღირებულებით, არამედ დამზღვევის სადაზღვევო ინტერესის მოცულობით.“

¹⁵⁶ იქვე,

¹⁵⁷ იქვე,

¹⁵⁸ Jerry, R. Richmond, D., *Understanding Insurance Law*, 2007, 274

¹⁵⁹ *Faygal v Shelter Insurance Company*, 1985

¹⁶⁰ *Davis v Phoenix Insurance Company*, 1896 - მით: Sorencen, E. Zielinski, K. *The Insurable Interest Doctrine: What is it? And What does it mean?*, 11

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს განმარტებაც არ არის აბსოლუტური, ოკლაჰომის უზენაესმა სასამართლომ საქმეზე¹⁶¹ მიუთითა, რომ არსებობს ზოგადი მიდგომა რომლის თანახმად თანამესაკუთრის სადაზღვევო ინტერესი შეზღუდულია ქონებაზე მისი საკუთრების უფლების მოცულობით. თუმცა, ამასთანავე სასამართლომ განმარტა: „ზოგიერთ შემთხვევაში თანამესაკუთრის სადაზღვევო ინტერესი შესაძლოა სამართლიანად არის შეზღუდული, თუმცა ჩვენ ვთვლით რომ ფაქტობრივი ინტერესის თეორიის მიმართება სადაზღვევო ინტერესთან, იძლევა თანამესაკუთრის კომპენსირების უფრო ფართო შესაძლებლობას, ვიდრე ეს შესაძლებელია მისი შეზღუდული ინტერესით დაზღვეულ ქონებაში.“¹⁶²

ასევე აღინიშნა, რომ თუ თანამესაკუთრეს აქვს უფლებამოსილება მოუაროს და დაიცვას საკუთრება სხვა თანამესაკუთრეთა სასარგებლოდაც, მაშინ თანამესაკუთრეს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ქმედებები, რომელსაც მის ადგილას მყოფი ყველა ნორმალური განვითარების ადამიანი ჩათვლიდა საჭიროდ. აღნიშნულ ქმედებებში მოიაზრება, ასევე, სადაზღვევო პაკეტის შექმნა რომელიც ყველა მესაკუთრისთვის თანაბრად, სარგებლის მომტანია.¹⁶³ სადაზღვევო პაკეტის შექმნით კი მმართველ თანამესაკუთრეს გააჩნია ეკონომიკური ინტერესი დაზღვეულ ქონებაში, როგორც კონკრეტულ პიროვნებას და ასევე წარმომადგენელს მესამე პირებთან.¹⁶⁴

ქონების დაზღვევის ხელშეკრულებაში ანაზღაურების პრინციპი იზომება დამზღვევის მიერ განცდილი მატერიალური ზიანის მოცულობით, შესაბამისად სასამართლომ ჩათვალა რომ მმართველი თანამესაკუთრის კომპენსაციის ოდენობა თუ ის ნაკლები იქნებოდა ქონების სრულ ღირებულებაზე ვერ ჩაითვლებოდა სრულ, ადეკვატურ კომპენსაციად.¹⁶⁵ გამომდინარე აქედან, ზოგ შემთხვევაში მიიჩნევა რომ შესაძლებელია, კომპენსაციის ოდენობამ გადააჭარბოს დამზღვევის შეზღუდულ სადაზღვევო ინტერესს.

ფაქტობრივი ინტერესის თეორია შეიძლება მივიჩნიოთ როგორც „დაცვითი კედელი“ მორალური რისკის, თაღლითობის, თამაშობისა და სანაძლეოს ტიპის გარიგებების წინააღმდეგ. აგრეთვე, იგი წარმოადგენს დამზღვევის ინტერესების დაცვის საშუალებას იმ შემთხვევაში, როდესაც მზღვეველი უარს ამბობს კომპენსაციის გაცემაზე და მოტივად დამზღვევის სადაზღვევო ინტერესების არ

¹⁶¹ Delk v Markel American Insurance Company, 2003

¹⁶² იქვე,

¹⁶³ იქვე,

¹⁶⁴ Sorencen, E. Zielinski, K. The Insurable Interest Doctrine: What is it? And What does it mean?, 12

¹⁶⁵ Delk v Markel American Insurance Company, 2003

ქონას მიუთითებს. თუმცა, ამასთანავე, აშკარაა ფაქტობრივი ინტერესის თეორიის ნაკლოვანებებიც. არ არსებობს სადაზღვევო ინტერესის არსებობის დამადასტურებელი ერთი კონკრეტული საშუალება, შესაბამისად დავის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე თუ სასამართლო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორ განმარტავს სადაზღვევო ინტერესს.¹⁶⁶ სამართლებრივი ინტერესის თეორია უპირატესობას ანიჭებს მყარ საკანონმდებლო პრინციპებს, ფაქტობრივი ინტერესის თეორია კი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში სუბიექტური ელემენტების შემოტანას უწყობს ხელს.¹⁶⁷ შესაბამისად არ არსებობს ერთგვარი სასამართლო პრაქტიკა, რადგან ყველა შემთხვევაში შესაძლებელია მოსამართლის სუბიექტური შეხედულებიდან გამომდინარე, დავის განსხვავებულად გადაწყვეტა. ეს ყოველივე კი სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის განვითარებაზე უარყოფითად აისახება.

3.4 სადაზღვევო ინტერესისა და ანაზღაურების პრინციპის ურთიერთკავშირი

ქონების დაზღვევას ახასიათებს ისეთი თავისებურებები, რომლებიც მას მკვეთრად განასხვავებს დაზღვევის სხვა სახეებისგან.¹⁶⁸ ანაზღაურების პრინციპი¹⁶⁹ კი ყველაზე მკაფიო გამოხატულებას სწორედ ქონების დაზღვევაში პოულობს. ხოლო რაც შეეხება სადაზღვევო ინტერესს იგი ტრადიციულად თითქმის ყოველთვის დაკავშირებული იყო ანაზღაურების პრინციპთან. თუმცა ამ კავშირის არსებობა ძირითადად ქონების დაზღვევის ხელშეკრულებებში ხდება, რადგან დამზღვევის ანაზღაურების პრინციპი პირადი დაზღვევისას შეუძლებელია.¹⁷⁰ კომპენსაცია მხოლოდ გარდაცვლილის მემკვიდრეებს შეუძლიათ მიიღონ.

რაც შეეხება სადაზღვევო ინტერესისა და ანაზღაურების პრინციპს შორის არსებულ განსხვავებებს, არსებობს ორი ფაქტორი, ორი მათგანი კი, ერთი მხრივ სადაზღვევო ინტერესის არსებობას უსვამს ხაზს, მეორე მხრივ კი მისი ანაზღაურების პრინციპისგან გამოყოფას ცხადყოფს.¹⁷¹

პირველი გარემოება კავშირშია ქონების დაზღვევასთან და პირდაპირ არის დაკავშირებული განცდილ ზიანთან. სადაზღვევო ინტერესი კი უფრო ფართოდ

¹⁶⁶ Sorencen, E. Zielinski, K. The Insurable Interest Doctrine: What is it? And What does it mean?, 21

¹⁶⁷ იქვე, 21

¹⁶⁸ ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 113

¹⁶⁹ Principle of indemnity

¹⁷⁰ Merkin, R. Colinviaux's Law of Insurance, 2006, 77 - მით: Mantrov, V. Perception of Insurable Interest In European Insurance Law, 2017, 255

¹⁷¹ Mantrov, V. Perception of Insurable Interest In European Insurance Law, 2017, 255

განიმარტება და არა მარტო მოიცავს განცდილ ზიანს არამედ სხვა, ეკონომიკურ დაინტერესებებსაც,¹⁷² სადაზღვევო ინტერესი მატერიალური და მორალური ინტერესების ერთობლიობას წარმოადგენს. მეორე განმასხვავებელი გარემოება კი დაკავშირებულია პირად დაზღვევასთან, სადაც სადაზღვევო ინტერესი მოქმედებს უფრო პრეზუმფციის საფუძველზე ნაცვლად ანაზღაურების პრინციპის გამოყენებისა.¹⁷³

აღსანიშნავია ისიც, რომ ანაზღაურების პრინციპი დაზღვევის ხელშეკრულების ნამდვილობას კითხვის ნიშნის ქვეშ არ სვამს, ის უბრალოდ დამზღვევის მიერ, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდგომ, კომპენსაციის მოთხოვნას უარყოფს. სადაზღვევო ინტერესის ნაკლებობა კი, ევროპული ქვეყნების სამართალში, პირდაპირ იწვევს დაზღვევის ხელშეკრულების ბათილობას.¹⁷⁴

ანაზღაურების პრინციპი ერთმანეთისგან განასხვავებს სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებს¹⁷⁵ და ხელშეკრულებებს, რომლის უმთავრეს დანიშნულებასაც წარმოადგენს დაზიანებული ქონების შედეგად განცდილი ზიანის კომპენსაცია.¹⁷⁶ მაგალითად, ქონების დაზღვევის შესახებ ხელშეკრულებები, რომლის დანიშნულებაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ, დამზღვევის მიერ განცდილი ზიანის ანაზღაურებაში მდგომარეობს.

„დაზღვევის ხელშეკრულების მთავარ მიზანს წარმოადგენს დამზღვევის დაცვა შესაძლო ზიანისაგან და არა მის მიერ სარგებლის მიღება.“¹⁷⁷ სწორედ ამის გამო არის აუცილებელი სადაზღვევო ინტერესის არსებობა ქონების დაზღვევის ხელშეკრულებებში, რათა დამზღვევს არაკანონიერი ქმედების განხორციელებით არ გაუჩნდეს მოგების მიღების სურვილი.

4. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაში

ევროპის მასშტაბით არ არსებობს ქვეყანა რომლის კანონმდებლობაც არ იცნობს სადაზღვევო ინტერესის ცნებას და არ არსებობს მისი სამართლებრივი განმარტება. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა

¹⁷² იქვე, 255

¹⁷³ იქვე, 255

¹⁷⁴ Merkin, R. Colinviaux's Law of Insurance, 2006, 77 - მოთ: Mantrov, V. Perception of Insurable Interest In European Insurance Law, 2017, 255

¹⁷⁵ Non-indemnity policies

¹⁷⁶ Kenneth, A. Insurance Law And Regulation, 2005, 201

¹⁷⁷ Sharo Michael, A., Regulation Not Prohibition: The Comparative Case Against the Insurable Interest Doctrine, Northwestern Journal of International Law & Business, 2011, 126.

განსხვავებულად არის მოწესრიგებული სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში, რაც მსგავსი საქმეების განსხვავებულად გადაწყვეტას იწვევს. შესაბამისად, მიზანშეწონილია ევროპის ქვეყნებში არსებული განსხვავებული მიდგომების მოკლედ მიმოხილვა, მათი უკეთ გააზრების მიზნით.

4.1 შედარებით მკაცრი სტანდარტი

ინგლისური სამართალში, სადაზღვევო ინტერესის შემადგენლობის განსაზღვრისას, არსებობს შედარებით მკაცრი სტანდარტი, რომელიც სადაზღვევო ინტერესის არსებობას პირდაპირ უკავშირებს ანაზღაურების პრინციპს.¹⁷⁸

ინგლისური სამართლის თანახმად იმისათვის, რომ არსებობდეს სადაზღვევო ინტერესი ქონების დაზღვევის ხელშეკრულებებისას პირს უნდა გააჩნდეს არა მარტო ეკონომიკური ინტერესი არამედ სამართლებრივი კავშირი მასთან.¹⁷⁹

ხოლო რაც შეეხება სადაზღვევო ინტერესის არსებობას სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებში, ამისათვის აუცილებელია პირის ინტერესი წარმოშობილი იყოს სისხლისმიერი კავშირისგან ან ახლო პირადი ურთიერთობებიდან, ასევე შესაძლებელია სადაზღვევო ინტერესი არსებობდეს იმ შემთხვევაში, როდესაც პირს მეორე პირის მიმართ ეკონომიკური ინტერესი გააჩნდა და მისი გარდაცვალება მისთვის ფინანსურად ზიანის მომტანია.¹⁸⁰ აგრეთვე, შესაძლებელია, სასამართლომ მისი სუბიექტური შეხედულებიდან გამომდინარე, კონკრეტულ შემთხვევაში დაადგინოს სადაზღვევო ინტერესის არსებობა.

ინგლისის სამართალში დამკვიდრებული შედარებით მკაცრი სტანდარტი, სადაზღვევო ინტერესის არსებობას ზედმეტად ვიწრო ჭრილში განიხილავს და ამით აზიანებს დამზღვევის ინტერესებს, ვინაიდან აღნიშნული წესის გამოყენებით მნიშვნელოვნად იზღუდება იმ სამართლებრივი ურთიერთობების წრე, სადაც სადაზღვევო ინტერესის არსებობა აშკარაა მაგრამ არსებული მიდგომიდან გამომდინარე მაინც მიიჩნევა რომ დამზღვევს არ გააჩნია სადაზღვევო ინტერესი.

შედარებით მკაცრი სტანდარტის მიდგომას ინგლისშიც საკმაოდ ყავს კრიტიკოსები, ¹⁸¹ რადგან მიიჩნევა რომ ასეთი სიმკაცრის გამო მისი პრაქტიკაში გამოყენება არაპრაქტიკულია.

¹⁷⁸ Mantrov, V. Perception of Insurable Interest In European Insurance Law, 2017, 257

¹⁷⁹ Clarke, M. Policies And Perceptions of Insurance: An introduction to Insurance Law, 1997, 29-30

¹⁸⁰ Mantrov, V. Perception of Insurable Interest In European Insurance Law, 2017, 257

¹⁸¹ Birds, J. Bird's Modern Insurance Law, 2016, 68-69 - მით: Mantrov, V. Perception of Insurable Interest In European Insurance Law, 2017, 258

4.2 ეკონომიკური ინტერესის სტანდარტი

ეკონომიკური ინტერესის სტანდარტი გაცილებით უფრო მეტ ევროპულ სახელმწიფოში არის დამკვიდრებული, ვინაიდან იგი სადაზღვევო ინტერესის არსებობისთვის სამართლებრივი კავშირის არსებობას საჭიროდ არ მიიჩნევს და მხოლოდ ეკონომიკური ინტერესის არსებობას მოითხოვს.¹⁸²

შვეიცარიის სადაზღვევო კანონმდებლობის თანახმად „სადაზღვევო ინტერესის არსებობისთვის, ქონების დაზღვევის ხელშეკრულებებში, საკმარისია ნებისმიერი სახის ეკონომიკური ინტერესის არსებობა რომელიც დამზღვევს გააჩნია.“¹⁸³

საფრანგეთშიც შვეიცარიის მსგავსი დამოკიდებულებაა.¹⁸⁴ საფრანგეთის სადაზღვევოს კანონმდებლობის თანახმად, „ნებისმიერ პირს, რომელსაც გააჩნია ინტერესი ქონების დაცვაში, აქვს შესაძლებლობა დააზღვიოს იგი.“¹⁸⁵ ეს ინტერესის კი განიმარტება, როგორც „ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი ინტერესი, რომელიც დაკავშირებულია დაკავშირებულია სადაზღვევო რისკი განუხორციელებლობასთან, შეიძლება იქნეს დაზღვეული.“¹⁸⁶

იტალიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად,¹⁸⁷ „ქონების დაზღვევის ხელშეკრულება მიიჩნევა ბათილად, თუ ხელშეკრულების დადებისას დამზღვევს არ გააჩნია ინტერესი ქონებაში, რომლის საფუძველზეც მას უნდა გადაეცეს კომპენსაცია ზიანის დადგომისას.“

გერმანიაში კი მიიჩნევა, რომ სადაზღვევო ინტერესი მჭიდროდ არის დაკავშირებული დაზღვევის ობიექტის ღირებულებასთან, რომელიც უნდა იქნეს განსაზღვრული სადაზღვევო რისკის დადგომის მომენტისათვის.¹⁸⁸ გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში, სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც არსებობს მესამე პირსა და დამზღვევს შორის, რომელიც დებს დაზღვევის ხელშეკრულებას მესამე პირის სასარგებლოდ, განიმარტება როგორც ურთიერთობა, რომელიც დაფუძნებულია სახელშეკრულებლო ან სხვა ტიპის სამართლებრივ ურთიერთობაზე.

¹⁸² Birds, J. Bird's Modern Insurance Law, 2016, 29-30 - მით: Mantrov, V. Perception of Insurable Interest In European Insurance Law, 2017, 259

¹⁸³ Article 48 Swiss Insurance Contract Act

¹⁸⁴ Mantrov, V. Perception of Insurable Interest In European Insurance Law, 2017, 260

¹⁸⁵ Article L121-6(1) French Insurance Code

¹⁸⁶ იქვე.

¹⁸⁷ Article 1904 Italian Civil Code

¹⁸⁸ Article 88 German Insurance Contract Act

5. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა საქართველოს კანონმდებლობაში

სადაზღვევო ინტერესის არსებობა სადაზღვევო მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობაა,¹⁸⁹ ამ დასკვნის გამოტანა შესაძლებელია სკ-ის 799-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, რომლის თანახმად „მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი.“

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში სადაზღვევო ინტერესის ტერმინს არ იცნობენ.¹⁹⁰ ერთ შემთხვევაში „დაზღვევის ობიექტი განიხილება, როგორც დაზღვევის ინტერესი, რომლის განსაზღვრაც აუცილებელია დაზღვევი ხელშეკრულების დასადასტურებლად“¹⁹¹, მეორე მხრივ კი დაზღვევის ინტერესში ხელშეკრულებისადმი არსებულ ინტერესს გულისხმობენ, „მითითებული ნორმა აწესრიგებს დაზღვევის მიმართ დამზღვევის ინტერესის დაკარგვის გამო ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს.“¹⁹²

სკ-ის 815-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ დაზღვევის ინტერესი დაიკარგა, მაშინ მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება ნაკისრი რისკის ხანგრძლივობას. თუმცა უნდა ითქვას, რომ სადაზღვევო ინტერესი და დაზღვევის ინტერესი ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებებია.

დაზღვევის ინტერესის არ ქონა განიმარტება, როგორც პირის სურვილი მოშალოს მასა და მზღვეველს (სადაზღვევო კომპანია) შორის არსებული დაზღვევის ხელშეკრულება. დაზღვევის ინტერესის უქონლობა პირდაპირ კავშირშია დაზღვევის ხელშეკრულების არ გაგრძელების სურვილთან და განიმარტება როგორც დამზღვევის შესაძლებლობა, დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ ინტერესის დაკარგვის გამო პრემიის გადახდაზე უარის განაცხადოს.

სადაზღვევო ინტერესის არ ქონა კი პირდაპირ არის დაკავშირებული დაზღვევის ობიექტის მიმართ ინტერესის არ ქონასთან. შესაბამისად, შესაძლებელია დამზღვევს ჰქონდეს დაზღვევის ინტერესი მაგრამ არ გააჩნდეს სადაზღვევო ინტერესი. მაგალითისთვის, პირმა დააზღვია საკუთარი ავტომობილი. მას

¹⁸⁹ ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 89

¹⁹⁰ იქვე, 88

¹⁹¹ ცისკაძე, მ. ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 8 - მით: ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი 2016, 89

¹⁹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის N-ას-719-674-2010 განჩინება

შეიძლება არ გააჩნდეს სადაზღვევო ინტერესი ავტომობილის, როგორც დაზღვევის ობიექტის შენარჩუნების მიმართ, მაგრამ ჰქონდეს დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ ინტერესი ანუ დაზღვევის ინტერესი. ვინაიდან, მას არაკანონიერი ქმედებების განხორციელებით შეუძლია მიიღოს ეკონომიკური სარგებელი დაზღვევის ხელშეკრულებიდან.

აგრეთვე, დაზღვევის ხელშეკრულებისადმი ინტერესის დაკარგვა არ ნიშნავს დაზღვევის ობიექტისადმი ინტერესის დაკარგვას.¹⁹³ მაგალითად, განქორწინების შემთხვევაში მეუღლეებს შეიძლება დაეკარგოთ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ დაზღვევის ინტერესი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ერთმანეთის სიცოცხლის მიმართ სადაზღვევო ინტერესი არ გააჩნიათ.¹⁹⁴

საინტერესოა ასევე „დაზღვევის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად „ქონების დაზღვევისას დაზღვეულს, რომელიც არ არის დამზღვევი უნდა ჰქონდეს ამ ქონების შენარჩუნების ინტერესი.“ აღნიშნული მხოლოდ და მხოლოდ ქონების დაზღვევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს. კანონი საერთოდ არ არეგულირებს დაზღვევის სხვა სახეების მიმართ სადაზღვევო ინტერესის გამოყენების საკითხს.¹⁹⁵

საქართველოში სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ სტადიაზეა, სამეცნიერო ლიტერატურაშიც, იშვიათი გამოჩენისების გარდა არ იცნობენ სადაზღვევო ინტერესის ტერმინს, ასევე არ არსებობს ერთგვარი სასამართლო პრაქტიკა.

შესაბამისად, აუცილებელია სადაზღვევო ინტერესის დაზღვევის მომწესრიგებელ ცენტრალურ - სკ-ის 799-ე მუხლში მითითება.¹⁹⁶ აგრეთვე, მისი „დაზღვევის შესახებ“ კანონში განმარტება და ასევე მისი, ქონების დაზღვევის გარდა, დაზღვევის სხვა სახეების მიმართ გამოყენების საკითხის გადაწყვეტა. აღნიშნული ხელს შეუწყობს, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას რაც თავის მხრივ წინ წასწევს, საქართველოში სადაზღვევო ინტერესის განვითარების დონეს.

6. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის მიმართ გამოთქმული კრიტიკა

საქართველოსგან განსხვავებით, უკვე მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში დიდი ხანია განმტკიცებულია სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა. კანონმდებლობით

¹⁹³ ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 88

¹⁹⁴ Jerry, R. Richmond, D., Understanding Insurance Law, 2007, 294

¹⁹⁵ ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 90

¹⁹⁶ იქვე, 90

მოითხოვება სადაზღვევო ინტერესის არსებობა სიცოცხლისა და ქონების დაზღვევის ხელშეკრულებებში.¹⁹⁷

თუმცა სადაზღვევო ინტერესის დოქტრინას მრავლად ყავს კრიტიკოსებიც, რომლებიც მის არაეფექტურობაზე მიუთითებენ და მიიჩნევენ, რომ დოქტრინის გამოყენება საფუძველშივე ეწინააღმდეგება მის მიმართ არსებულ მოლოდინს.¹⁹⁸ გამოთქმული მოსაზრების თანახმად, სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა წარმოადგენს მზღვეველის ინტერესების დაცვის საშუალებას, რადგან იგი სადაზღვევო კომპანიას აძლევს საშუალებას უარი განაცხადოს კომპენსაციის გადახდაზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ.¹⁹⁹ თუ სასამართლომ მიიჩნია, რომ დამზღვევს არ გააჩნდა სადაზღვევო ინტერესი, მხარეთა შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულება მიჩნეული იქნება ბათილად. შესაბამისად, მზღვეველს ვეღარ დაეკისრება ვალდებულება დამზღვევს აუნაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შემდეგ დამდგარი ზიანი.²⁰⁰

სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის მოწინააღმდეგენი ასევე მიუთითებენ, რომ დოქტრინას თავისი მნიშვნელობა უკვე დაკარგული აქვს.²⁰¹ ხელშეკრულების მხარეებს, კარგად ნაცადი მეთოდებით, შეუძლიათ შექმნათ ე.წ. „საფარველი“, რომელსაც სადაზღვევო კომპანიები შეცდომაში შეჰყავთ და აფიქრებინებენ რომ მხარეს სადაზღვევო ინტერესი გააჩნია.

ასევე, სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის მიმართ საკანონმდებლო რეგულირების შერბილებამ, შესაძლებლობა მისცა პირთა ფართო წრეს დაედო დაზღვევის ხელშეკრულება, ვინაიდან მცირე ეკონომიკური კავშირის არსებობაც კი საკმარისი იყო სადაზღვევო ინტერესის არსებობის მისაჩვენად.²⁰²

საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის საწინააღმდეგო მოსაზრებები ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისშიც არსებობდა. ედვინ პატერსონი აღნიშნავდა, რომ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებში სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა მხოლოდ ტექნიკურ როლს ასრულებდა და არ არსებობდა მისი გამოყენების საჭიროება. ვინაიდან, დაზღვეული პირის სიცოცხლე ისედაც იყო დაცული სისხლის სამართლის

¹⁹⁷ Loshin, J. Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, 2007, 479

¹⁹⁸ ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 91

¹⁹⁹ Loshin, J. Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, 2007, 479

²⁰⁰ იქვე, 479

²⁰¹ Sharo Michael Atmeh, Regulation Not Prohibition: The Comparative Case Against the Insurable Interest Doctrine Northwestern Journal of International Law & Business, 2011, 95

²⁰² იქვე, 95

კანონმდებლობით და სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა, მისი სიცოცხლის დასაცავად, დამატებით ბერკეტებს ვერ ქმნიდა.²⁰³

მსგავსი მოსაზრება გააჩნია ლოშინსაც, რომელიც განმარტავს რომ მართალია სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის ტრადიციული გაგება საკმაოდ მიმზიდველად ჟღერს, ბუნებრივია დაზღვევის ხელშეკრულება არ უნდა დაიდოს პირთან რომელსაც ბოროტი ზრახვები გააჩნია და სხვისი სიცოცხლის თუ ქონების განადგურებით სარგებლის ნახვა სურს, მაგრამ იმისათვის რომ სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა იყოს ეფექტური მან უნდა მოახერხოს და ასეთი შემთხვევები თავიდან აიცილოს, ვინაიდან კანონდარღვევის ჩადენის შემთხვევაში პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება და სადაზღვევო ინტერესის დოქტრინაც თავის აზრს კარგავს.²⁰⁴

სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის მიმართ საკმაოდ საფუძვლიანი კრიტიკა არსებობს, ამ კრიტიკის ანალიზი კი შესაძლებლობას იძლევა უკეთ შეფასდეს დოქტრინის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც მის პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრასაც შეუწყობს ხელს.²⁰⁵

6.1 სადაზღვევო კომპანიების არაკეთილსინდისიერი ქმედების წახალისება

სადაზღვევო ინტერესის აუცილებლობა დაზღვევის ხელშეკრულებებში ხელს უწყობს მზღვეველის არაკეთილსინდისიერი ქმედების წახალისებას,²⁰⁶ რადგან მათ საშუალება ეძლევათ ხელშეკრულებებში დაუშვან მორალური რისკის უფრო მაღალი დონის არსებობა, ვიდრე ისინი სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის არ არსებობისას დაუშვებდნენ.²⁰⁷ გამომდინარე აქედან შანსი იმისა, რომ მზღვეველმა უფრო მაღალი მორალური რისკის შემცველი ხელშეკრულება დადოს იზრდება, ეს კი ბუნებრივი პირდაპირ ეწინააღმდეგება სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის დანიშნულებას.²⁰⁸

დოქტრინის კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას მზღვეველი დუმს დამზღვევის სადაზღვევო ინტერესის არ ქონაზე. იმ

²⁰³ Patterson, E. Insurable Interest in Life, 1918 390 - მოთ: Sharo Michael Atmeh, Regulation Not Prohibition: The Comparative Case Against the Insurable Interest Doctrine Northwestern Journal of International Law & Business, 2011, 95

²⁰⁴ Loshin, J. Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, 2007, 483

²⁰⁵ ირემამვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 91

²⁰⁶ Perverse Incentives

²⁰⁷ Loshin, J. Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, 2007, 490

²⁰⁸ იქვე, 490

შემთხვევაში კი, როდესაც სადაზღვევო შემთხვევა დადგება და დამზღვევი მისგან ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს, სადაზღვევო კომპანია სადაზღვევო ინტერესის არ არსებობის მოტივით უარს ამბობს კომპენსაციის გადახდაზე. დოქტორინის კრიტიკოსები მათ მსჯელობას ამერიკის შეერთებული შტატების სადაზღვევო პრაქტიკის მონაცემებით ამყარებენ და მიუთითებენ, რომ სადაზღვევო კომპანიები წინასწარი განზრახვით არაკეთილსინდისიერად მოქმედებენ.²⁰⁹

შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ დაზღვევის ხელშეკრულება სადაზღვევო ინტერესის არ არსებობის გამო ბათილად ჩაითვლება, მზღვეველს არ ეკისრება კომპენსაციის გადახდის ვალდებულება. დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე კი სადაზღვევო კომპანიას ასევე არ ეკისრება დამზღვევის მიერ გადახდილი პრემიების დაბრუნება.

ნებისმიერ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია ზარალს არ განიცდის. პრემიების დაუბრუნებლობისას მას მოგების სახით რჩება დამზღვევის მიერ გადახდილი პრემიები, ხოლო თუ სადაზღვევო კომპანია პრემიებს დააბრუნებს მართალია იგი ფინანსურ მოგებას ვერ ნახავს, მაგრამ მას არ უწევს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა. შესაბამისად, ხელშეკრულების ბათილობა სადაზღვევო კომპანიისთვის ფინანსურად მომგებიანია ვინაიდან არ უწევს კომპენსაციის სახით გაცილებით დიდი ოდენობის თანხის გადახდა.²¹⁰

დოქტორინის კრიტიკოსების ასევე მიუთითებენ, რომ ჩვეულებრივ შემთხვევაში დაზღვევის ხელშეკრულების დადება მაღალი მორალური რისკის არსებობისას სადაზღვევო კომპანიისთვის ნაკლებად მიმზიდველი უნდა იყოს. თუმცა, ხელშეკრულების დადება უფრო სასურველი ხდება მზღვეველისთვის თუ სადაზღვევო ინტერესის არ არსებობის გამო, დაზღვევის ხელშეკრულების ბათილობის ალბათობა იზრდება.²¹¹

აღსანიშნავია ისიც, რომ თუ დადგინდა რომ სადაზღვევო კომპანიამ თავიდანვე იცოდა სადაზღვევო ინტერესის არ არსებობის შესახებ მას პასუხისმგებლობა დაეკისრება. თუმცა, მტკიცება იმისა რომ მზღვეველმა თავიდანვე იცოდა სადაზღვევო ინტერესის არ არსებობის შესახებ თითქმის შეუძლებელია.

აღნიშნული არგუმენტებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას სადაზღვევო ინტერესის უგულებელყოფა სადაზღვევო კომპანიებს აძლევს საშუალებას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარი განაცხადონ.

²⁰⁹ ირემამვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 91

²¹⁰ Loshin, J. Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, 2007, 491

²¹¹ იქვე, 491

თუმცა, ამ არგუმენტების განზოგადობა არ არის მართებული კონტრარგუმენტებიდან გამომდინარე. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ არგუმენტებში მითითებული მზღვეველის არაკეთილსინდისიერი ქმედების სქემა არ ესადაგება დაზღვევის ყველა ხელშეკრულებას და შემთხვევები როდესაც სადაზღვევო ინტერესი დაზღვევის ხელშეკრულების პერიოდში იკარგება გამონაკლისის სახით არსებობს.²¹² აგრეთვე სადაზღვევო ინტერესის არსებობის გარკვევა მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც აღმოჩნდება რომ მზღვეველმა არ იცოდა სადაზღვევო ინტერესის არ არსებობის შესახებ, ან როდესაც დამზღვევის სადაზღვევო ინტერესი დაიკარგა დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდეგ.²¹³

გამომდინარე აქედან, მართალია სადაზღვევო კომპანიები რიგ შემთხვევებში სარგებლობენ სადაზღვევო ინტერესის არ არსებობაზე მითითებით და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარს აცხადებენ, თუმცა სადაზღვევო კომპანიების მანკიერი პრაქტიკის ნეგატიური შედეგების მასშტაბი არ შეიძლება განზოგადდეს თითქმის ყველა დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ და ამ არგუმენტზე დაყრდნობით საფუძვლად დაედოს სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის უარყოფის დასკვნას.²¹⁴

6.2 დაზღვევის ხელშეკრულების მხარეთა შორის არებული ინფორმაციული ასიმეტრიის პოტენციური ექსპლუატაცია

სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის კრიტიკოსები ასევე მიუთითებენ, რომ დაზღვევის ხელშეკრულებებში საერთოდ არ არის ყურადღება გამახვილებული სადაზღვევო ინტერესის აუცილებლობასა და მის საჭიროებაზე. თუმცა, ისინი ამის გამომწვევ მიიჩნევენ თვითონვე ხსნიან და განმარტავენ, რომ სადაზღვევო კომპანიებს სინამდვილეში ურჩევნიათ დადებულ ხელშეკრულებებში სადაზღვევო ინტერესის გაურკვეველობა, რათა შემდგომ ინტერესის არ არსებობაზე მითითებით კომპენსაციის გადახდას აარიდონ თავი.²¹⁵

დოქტრინის მოწინააღმდეგენი განმარტავენ, რომ სადაზღვევო კომპანიებმა შეიმუშავეს მანკიერი პრაქტიკა ე.წ. „ორ-საფეხურიანი სადაზღვევო ინტერესი“: თავდაპირველად, ისინი დებენ დაზღვევის ხელშეკრულებას და სადაზღვევო ინტერესის საჭიროების მიმართ იჩენენ გულგრილობას. ხოლო სადაზღვევო

²¹² ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 92

²¹³ იქვე, 93

²¹⁴ იქვე, 93

²¹⁵ Loshin, J. Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, 2007, 495

შემთხვევის დადგომის შემდეგ კი დამზღვევის სადაზღვევო ინტერესის არ არსებობაზე მითითებით უარს აცხადებენ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე.²¹⁶

სადაზღვევო კომპანიები ხელშეკრულებების შედგენისას შეუმჩნევლად თან ურთავენ „სპეციალურ პირობებს“,²¹⁷ რომელიც მათ შესაძლებლობას აძლევს მომავალში განახორციელონ კონკრეტული ქმედება, თავიანთი ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისად, ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნა სადაზღვევო ინტერესის არ არსებობის მოტივით წარმოადგენს მზღვეველის შესაძლებლობას, ხოლო თუ სადაზღვევო შემთხვევა არ დადგება მათ უბრალოდ არ სჭირდებათ ამ ქმედების განხორციელება.²¹⁸

დოქტრინის მოწინააღმდეგეთა აზრით, არსებული მანკიერი პრაქტიკა გამოწვეულია დამზღვევსა და მზღვეველს შორის არსებული ინფორმაციული ასიმეტრიით.²¹⁹ დამზღვევთა უმეტესობას არ აქვს სამართლებრივი განათლება და ისინი ბუნებრივია ვერ ანალიზებენ ხელშეკრულების დეტალებს, შედეგად კი ილაზხება დამზღვევის უფლება, მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია სადაზღვევო ინტერესის არსებობის აუცილებლობასა და სადაზღვევო ანაზღაურების მიღების პირობების შესახებ.

გამომდინარე აქედან მართალია სადაზღვევო კომპანიები რიგ შემთხვევებში ბოროტად სარგებლობენ მხარეთა შორის არსებული ინფორმაციული ასიმეტრიით, თუმცა უნდა ითქვას, რომ დაზღვევის ხელშეკრულებაში ინფორმაციული ასიმეტრიის ხარისხი ძირითადად დამზღვევის სამართლებრივი სტატუსით განისაზღვრება.²²⁰ შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიების მიერ ვერ მოხდება ინფორმაციული ასიმეტრიის სათავისოდ გამოყენება მსხვილ კორპორაციებთან ურთიერთობისას, რადგან მათაც ჰყავთ გამოცდილი იურისტების გუნდი, რომლებიც ზედმიწევნით იცნობენ დაზღვევის ბაზარზე არსებულ პრაქტიკას.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციულ ასიმეტრიას გააჩნია ორმხრივი ბუნება და მასში დამზღვევის ინფორმაციული უპირატესობაც იგულისხმება.²²¹

²¹⁶ იქვე, 495

²¹⁷ Embedded options

²¹⁸ Loshin, J. Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, 2007, 495

²¹⁹ Fischer, J. Why Are Insurance Contracts Subject to Special Rules of Interpretation?: Text Versus Context, 1992, 995,1047 - მოთ: Loshin, J. Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, 2007, 495

²²⁰ ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 93

²²¹ იქვე, 94

მართალია, სადაზღვევო კომპანიები გაცილებით მეტ ინფორმაციას ფლობენ მათ მიერ შეთავაზებული სადაზღვევო მომსახურების პაკეტის მცირე დეტალების შესახებ,²²² თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ დაზღვევის ობიექტზე სრულყოფილი ინფორმაცია მხოლოდ დამზღვევს გააჩნია.

გამომდინარე აქედან არ უნდა იქნეს გათვალისწინებული სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის კრიტიკოსთა ეს არგუმენტი. მართალია, ცალკეულ შემთხვევებში სადაზღვევო კომპანიები ბოროტად სარგებლობენ მხარეთა შორის არსებული ინფორმაციული ასიმეტრიით, თუმცა ამ მანკიერი პრაქტიკის განზოგადება და სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის ამ საფუძვლით უარყოფა, დაუსაბუთებელია.

6.3 სადაზღვევო ბაზრის ეფექტურობის შემცირება

კრიტიკოსთა მესამე არგუმენტის თანახმად, სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის არაეფექტური გამოყენება იწვევს სადაზღვევო ბაზრის ეფექტურობის შემცირებას, რაც ორივე მხარეს, დამზღვევსა და მზღვეველს ზიანს აყენებს.²²³ კერძოდ, იგულისხმება შემთხვევები, როდესაც სადაზღვევო ინტერესის დოქტრინასთან მიმართებით არანაირი ინფორმაციული ასიმეტრია არ არსებობს და ორივე მხარე კეთილსინდისიერად მოქმედებს. თუმცა, დოქტრინის კრიტიკოსთან აზრით ამ შემთხვევებში სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა ზედმეტად ეფექტურია.²²⁴

მათი აზრით აღნიშნული გამოწვეულია, მორალურ რისკსა და სადაზღვევო ინტერესის დოქტრინას შორის არაეფექტური ურთიერთკავშირით. დოქტრინის კრიტიკოსები განმარტავენ, რომ სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის გამოყენების პირობებში შესაძლებელია ისეთი დაზღვევის ხელშეკრულება ცნოს სასამართლომ ბათილად, სადაც მორალური რისკის დაბალი ხარისხის გათვალისწინებით ამისი საჭიროება არ არსებობს.²²⁵ დაზღვევის იმ ხელშეკრულების ბათილად ცნობით კი, რომელშიც მორალური რისკი მაღალი არ არის ილახება არა მარტო დამზღვევის არამედ სადაზღვევო კომპანიის ინტერესებიც, რადგან ასეთი ხელშეკრულებები ორივე მხარისთვის ეკონომიკური სარგებლის მომტანია.

სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის კრიტიკოსთა მესამე არგუმენტიც არ არის გასათვალისწინებელი, რადგან ამ ლოგიკით ეკონომიკურად არაეფექტურ ტრანზაქციად უნდა მივიჩნიოთ ნებისმიერი სასყიდლიანი გარიგება, რომელიც

²²² იქვე, 94

²²³ Loshin, J. Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, 2007, 498

²²⁴ იქვე, 498

²²⁵ იქვე, 498

ბათილად იქნა ცნობილი.²²⁶ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიც შეიძლება შეიზღუდოს ობიექტური გარემოების არსებობისას, ერთ-ერთი ასეთი შეზღუდვა კი ითვალისწინებს საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობაში მყოფი გარიგებების ბათილად ცნობას.²²⁷

6.4 სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის უგულებელყოფა ავსტრალიის კანონმდებლობაში

სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის კრიტიკოსთა არგუმენტი დოქტრინის არაეფექტურობის შესახებ გაზიარებულია ავსტრალიის კანონმდებლობაში. 1982 წელს კი ავსტრალიაში ინიცირებულ იქნა უარი ეთქვათ სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის გამოყენებაზე, ქონების დაზღვევის შემთხვევებში.²²⁸

ავსტრალიის სადაზღვევო კანონმდებლობაში, სადაზღვევო ინტერესის არსებობა ემსახურებოდა სამ მიზანს: 1) რომ აღმოფხვრილიყო თამაობისა და სანაძლეოს ტიპის გარიგებების დადება სიცოცხლის დაზღვევისას; 2) შემცირებულიყო ქონების დაზიანებისა თუ განადგურების რისკი ქონების დაზღვევისას და 3) უზრუნველყო დამზღვევის მიერ, განცდილ ზიანზე დიდი ოდენობის კომპენსაციის მიღების შეუძლებლობა.²²⁹

1984 წელს კი ავსტრალიამ საბოლოოდ უარი თქვა სადაზღვევო ინტერესის საჭიროებაზე ქონების დაზღვევის ხელშეკრულებებში.²³⁰ ICA 1984-ის მე-16 თავში ითქვა, რომ დაზღვევის ხელშეკრულება არ არის ბათილი იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დამზღვევს ხელშეკრულების დადებისას არ გააჩნდა სადაზღვევო ინტერესი. ამით ავსტრალიის კანონმდებლობამ უარი თქვა სამართლებრივი ინტერესის თეორიაზე და უპირატესობა მიანიჭა დამზღვევის მიერ განცდილ ეკონომიკურ ზიანს ქონების დაზღვევისას. მიჩნეული იქნა, რომ დამზღვევის მიერ ზიანის განცდის მტკიცებულება სრულიად საკმარისი იყო მისი ინტერესის დასადასტურებლად.²³¹ 1995 წელს კი ავსტრალიაში უარი ითქვა სადაზღვევო ინტერესის აუცილებლობაზე სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებშიც.²³²

²²⁶ ირემამვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 95

²²⁷ იქვე, 95

²²⁸ Australian Law Reform Commissions, Insurance Contracts, 1982, 87-88

²²⁹ Sharo Michael, A., Regulation Not Prohibition: The Comparative Case Against the Insurable Interest Doctrine Northwestern Journal of International Law & Business, 2011, 136

²³⁰ Insurance Contracts Act 1984

²³¹ Proof of loss is equivalent to proof of interest

²³² Life Insurance act 1995

შესაბამისად, ავსტრალიის კანონმდებლობაში საბოლოოდ ითქვა უარი სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის აუცილებლობაზე, დამზღვევსა და მზღვეველს შორის ნებისმიერი ტიპის დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას.²³³ თუმცა, ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ ავსტრალიას მაინც მოუწია დამატებითი რეგულაციების მიღება სადაზღვევო ბაზრის რეგულირების მიზნით. კერძოდ, 1998 წელს შეიქმმა APRA²³⁴, რომლის მთავარ ფუნქციასაც სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების 1995 წლის სიცოცხლის დაზღვევის შესახებ კანონთან შესაბამისობის კონტროლი წარმოადგენდა. აგრეთვე, ASIC-ის²³⁵ მთავარი მოვალეობაა ქონების დაზღვევის შესახებ დადებული ხელშეკრულებების 1984 წლის სადაზღვევო ხელშეკრულებათა შესახებ კანონთან შესაბამისობის დადგენა.

7. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებში

დაზღვევის ობიექტის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო სიცოცხლის დაზღვევის მომწესრიგებელი ნორმები ემიჯნება ქონების დაზღვევის პრინციპებს. ეს ძირითადად გამოიხატება სუბროგაციის პრინციპის გამოყენების შეზღუდვასა და სადაზღვევო ინტერესის გამკაცრებული მოთხოვნის დაწესებაში.²³⁶

ასევე ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სიცოცხლის დაზღვევის ორი ხელშეკრულება. პირველ შემთხვევაში დამზღვევი საკუთარ თავს აზღვევს და ამ დროს სადაზღვევო ინტერესის არსებობა შედარებით მარტივი დასადგენია, რადგან იშვიათია პირს თავისი სიცოცხლის მიმართ არ ჰქონდეს ინტერესი. მეორე შემთხვევაში კი დამზღვევი აზღვევს მესამე პირის სიცოცხლეს.²³⁷ მესამე პირის დაზღვევისას, დაზღვეული პირის სიცოცხლის დაცვის მიზნის გათვალისწინებით სადაზღვევო ინტერესის არსებობის დადგენა უმნიშვნელოვანესია.

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაში სადაზღვევო ინტერესის დადგენისათვის აუცილებელია დამზღვევსა და მესამე პირს შორის არსებობდეს სისხლისმიერი და კანონით დადგენილი ოჯახური ურთიერთობა.²³⁸ თუ მხარეთა

²³³ Botes, J. Insurable interest as a requirement for insurance contracts: A comparative analysis, 63

²³⁴ Australian Prudential Regulation Authority

²³⁵ Australian Securities and Investments Commission

²³⁶ ირემამვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 96

²³⁷ იქვე, 96

²³⁸ Jerry, R. Richmond, D., Understanding Insurance Law, 2007, 277

შორის ოჯახური ურთიერთობა არ არსებობს მაშინ მნიშვნელობა დამზღვევის ეკონომიკურ ინტერესს ენიჭება მესამე პირის სიცოცხლის მიმართ, უნდა დადგინდეს მესამე პირის სიცოცხლის განგრძობადობა არის თუ არა მატერიალური სარგებლის მომტანი დამზღვევისათვის. სიცოცხლის დაზღვევისას არსებული ეკონომიკური ინტერესი შეგვიძლია მივამსგავსოთ ქონების დაზღვევის ხელშეკრულებისას არსებულ ფაქტობრივი ინტერესს, რადგან იმ შემთხვევაშიც დამზღვევის მატერიალური მდგრადობა დამოკიდებულია დაზღვეული ქონების არსებობაზე.²³⁹

საინტერესოა საქმე,²⁴⁰ რომელშიც დადგინდა რომ ზრდასრულ შვილს მისი დედის სიცოცხლის მიმართ სადაზღვევო ინტერესი არ გააჩნდა. პირმა დედამისის სიცოცხლე დააზღვია, რომელიც მასთან ცხოვრობდა როგორც მისი დიასახლისი და რომელიც მისგან ყოველთვიურად გარკვეულ თანხას იღებდა. დაზღვევის ხელშეკრულებაში მხარეების მიერ განისაზღვრა რომ სადაზღვევო ანაზღაურება მიმართული იქნებოდა გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯებში.²⁴¹ თუმცა მიჩნეული იქნა, რომ დაზღვევის ხელშეკრულება ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი რადგან დამზღვევს არ გააჩნდა სადაზღვევო ინტერესი, დამზღვევი არ იყო ვალდებული უზრუნველყო საკუთარი დედის დაკრძალვის ხარჯები. პირმა სადაზღვევო კომპანიას უჩივლა და მოითხოვა გადახდილი პრემიების დაბრუნება, თუმცა სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დამზღვევის მიერ სადაზღვევო ინტერესის არ ქონის გამო დაზღვევის ხელშეკრულება იყო ბათილი და შესაბამისად, მზღვეველს პრემიების დაბრუნების ვალდებულება არ ეკისრებოდა.²⁴²

ამერიკის შეერთებული შტატების დაზღვევის დოქტრინაში მიჩნეულია, რომ მეუღლეებს გააჩნიათ ერთმანეთის სიცოცხლის შენარჩუნების ინტერესი, რომელიც განქორწინების შემთხვევაში იკარგება. თუმცა, თუ ერთ-ერთ მეუღლეს მეორის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა დაეკისრა, მეუღლეებს შორის გაჩნდება ეკონომიკური კავშირი.²⁴³

აღსანიშნავია ისიც, რომ აშშ-ის სასამართლოები განსხვავებულად წყვეტენ დედამამიშვილების, ასევე მშობლებსა და ზრდასრულ შვილებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებში სადაზღვევო ინტერესის არსებობის საკითხს.

²³⁹ იქვე, 278

²⁴⁰ Harse v Pearl Life Assurance Company, 1904

²⁴¹ იქვე,

²⁴² Lowry, J. Rawlings, P. Insurance Law: Doctrines and Principles, 2003, 45

²⁴³ ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 98

ასევე მიიჩნევა, რომ ბიძა/დეიდასა და ძმისშვილ/დისშვილს შორის არსებული ურთიერთობები არ არის საკმარისი სადაზღვევო ინტერესის არსებობის დასადგენად.²⁴⁴ ასევე არაერთგვაროვანია მიდგომა შვილად აყვანის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებში სადაზღვევო ინტერესის არსებობის შესახებ.

გამომდინარე აქედან აშკარაა, რომ ამერიკის სასამართლოებში არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა იმის თაობაზე თუ ნათესავების რა წრეზე უნდა გავრცელდეს სადაზღვევო ინტერესის არსებობის პრეზუმფცია.²⁴⁵

იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ოჯახური კავშირი სადაზღვევო ინტერესის არსებობის დასასაბუთებლად, სასამართლოები მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური ინტერესის არსებობაც გახდეს საკმარისი სადაზღვევო ინტერესის არსებობის დასადგენად. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ბიზნეს პარტნიორებს შორის, ერთმანეთის სიცოცხლეზე, არსებობს სადაზღვევო ინტერესი.²⁴⁶

რაც შეეხება დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის არსებულ ურთიერთობას უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ერთმანეთის სიცოცხლის მიმართ სადაზღვევო ინტერესი შესაძლებელია არსებობდეს.²⁴⁷ თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ რაც უფრო დიდი ორგანიზაცია დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებული ურთიერთობა უფრო შორეულია, ამან კი სადაზღვევო ინტერესის არსებობას შესაძლოა ხელი შეუშალოს.²⁴⁸

სადაზღვევო ინტერესის ფულადი ღირებულება უნდა განისაზღვროს მხარეთა შორის არსებული შრომითი ხელშეკრულებით, მაგალითად დასაქმებულს, რომელიც მუშაობს მყარად დადგენილ ხელფასის ოდენობაზე, დამსაქმებლის სიცოცხლის მიმართ სადაზღვევო ინტერესი აქვს კონტრაქტის პირობებით დარჩენილი გადასახდელი თანხის ოდენობით.²⁴⁹ თუმცა მხოლოდ ხელშეკრულების პირობებით ხელმძღვანელობა საკმარისი არ არის. შესაძლოა, დასაქმებულის გარდაცვალებით კომპანიამ დიდი ფინანსური დანაკარგი განიცადოს. შესაბამისად, ზოგ შემთხვევაში სადაზღვევო თანხის მხოლოდ დასაქმებული ანაზღაურების მიხედვით გამოთვლა არაგონივრულია.²⁵⁰

²⁴⁴ Jerry, R. Richmond, D., Understanding Insurance Law, 2007, 278

²⁴⁵ იქვე, 278

²⁴⁶ Jerry, R. Richmond, D., Understanding Insurance Law, 2007, 279

²⁴⁷ Lowry, J. Rawlings, P. Insurance Law: Doctrines and Principles, 2003, 46

²⁴⁸ იქვე, 46

²⁴⁹ იქვე, 46

²⁵⁰ ირემაშვილი, ე. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 100

კრედიტორს, ასევე არაუზრუნველყოფილ კრედიტორსაც (რომელსაც არ გააჩნია სადაზღვევო ინტერესი მოვალის ქონების მიმართ) აქვთ სადაზღვევო ინტერესი მოვალის სიცოცხლის მიმართ.²⁵¹

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ როდესაც სადაზღვევო ინტერესის არსებობა ეფუძნება სისხლისმიერ ან კანონით დადგენილ ოჯახურ ურთიერთობებს, არ არსებობს დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ზედა ზღვარი. ხოლო როდესაც სადაზღვევო ინტერესის არსებობა ეფუძნება ეკონომიკურ ინტერესს, დადგენილი პრაქტიკის თანახმად მიჩნეულია, რომ დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა შორის არსებული ეკონომიკური ინტერესის ოდენობას.²⁵²

დასკვნა

სადაზღვევის ინტერესის დოქტრინის შესწავლისა და მისი გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ამ დოქტრინის ნათლად გააზრების გარეშე წარმოუდგენელია მკაფიო წარმოდგენა ვიქონიოთ საერთოდ დაზღვევაზე და დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდგომ მხარეთა შორის არსებულ უფლებებსა და ვალდებულებებზე.

სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვას ემსახურება. იგი დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას ავალდებულებს დამზღვევს ჰქონდეს დაზღვევის ობიექტის შენარჩუნების ინტერესი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

შესაბამისად, სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის გამოყენება დასაბუთებულია შემდეგი საფუძველით: სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა ემსახურება დაზღვევის ხელშეკრულებაში მორალური რისკის შემცირებას. კერძოდ, სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა „აიძულებს“ დამზღვევს ჰქონდეს დაზღვეული ქონების შენარჩუნების ინტერესი, შედეგად კი მომავალში მის მიერ ამ ქონების დაზიანების რისკი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა, პირველ რიგში, მზღვეველის ინტერესების დაცვას ემსახურება. კერძოდ, დამზღვევის სადაზღვევო ინტერესის არსებობა ნაწილობრივ გამორიცხავს დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდეგ,

²⁵¹ Jerry, R. Richmond, D., Understanding Insurance Law, 2007, 279

²⁵² იქვე, 280

დამზღვევის მიერ, დაზღვევის ობიექტისადმი ინტერესის შემცირების ან მისი დაკარგვის საფრთხეს.

თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ სადაზღვევო კომპანიების მიერ, ხშირ შემთხვევაში, ბოროტად ხდება სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის გამოყენება რაც მათ საშუალებას აძლევს უარი განაცხადონ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ.

შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სადაზღვევო ინტერესის დოქტრინასთან მიმართებით ერთგვაროვანი პრაქტიკა არ არსებობს, არსებული პრობლემებისა და მოსალოდნელი გართულებების პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილი იქნება ამ საკითხის კანონმდებლობით სრულყოფილად დარეგულირება.

კერძოდ, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აუცილებელია სადაზღვევო ინტერესის დაზღვევის მომწესრიგებელ ცენტრალურ სკ-ის 799-ე მუხლში მითითება.²⁵³ სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის საკანონმდებლო მოწესრიგება ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ საქართველოში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას გამოიწვევს.

აგრეთვე, აუცილებელია სადაზღვევო ინტერესიდან გამომდინარე, დაზღვევის ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების „დაზღვევის შესახებ“ კანონში სრულყოფილად დარეგულირება.

თუმცა, აკადემიური კეთილსინდისიერება მოითხოვს აღინიშნოს სასამართლოთა შეუცვლელი როლი. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის განვითარებისათვის, სწორედ სასამართლოს მსჯელობა და დასაბუთებაა აუცილებელი, რომელმაც არსებულ დოქტრინას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნიკალური განმარტება უნდა მისცეს.²⁵⁴

²⁵³ ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 90

²⁵⁴ იქვე, 158

ბიბლიოგრაფია

ქართულ ენაზე:

ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999;

ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010;

კაპანაძე თ., სადაზღვევო ურთიერთობის ალექტორული ბუნება და გავლენა ხელშეკრულების არსებით პირობებზე ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, თბილისი, N-6, 2016;

მოწონელიძე ნ., სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბილისი, 2015;

ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში; თბილისი, 2016;

ქეცბაია ე., დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, თბილისი, N-4 (43), 2014;

ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2001;

მაგნიძე დ., დაზღვევის ინტერესი საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულებაში, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუტია“, თბილისი, N2, 2003;

ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარები, www.gccc.ge; მუხლი 799-ე, 2016;

უცხოურ ენებზე:

Baker T., On the Genealogy of Moral Hazard, “Texas law Review”, 1996;

Birds J., Birds’ Modern Insurance Law, Sweet & Maxwell, 2001;

Botes J., Insurable interest as a requirement for insurance contracts: a comparative analysis, 2015;

Cannar K., Essential cases in insurance law, Woodhead-Faulkner, 1985;

Clarke M., Policies and Perceptions of insurance: An introduction to insurance law, Clarendon Press, 1997;

Fischer E., The Rule of Insurable Interest and the Principle of Indemnity: Are They Measures of Damages in Property Insurance?, “William & Mary Law school scholarship repository, 1981;

Esaam Saad A.G., Insurable interest in property insurance: A comparative study amongst English, Canadian and Saudi Arabian laws, 2006;

Fischer J., Why Are Insurance Contracts Subject to Special Rules of Interpretation?: Text Versus Context, 1992;

Denenberg H., The legal definition of insurance: Insurance principles in practice, “The journal insurance”, N-3, 1963;

Jerry R., Richmond D., Understanding Insurance Law, LexisNexis, 2007;

Kalis P., Reiter T., Segerdahl J., Insurance Coverage Litigation, “Aspen Publishers”, 2005;

Kenneth, A. Insurance Law And Regulation: Cases and Materials, “Foundation Press” 2005;

Loshin J., Insurance Law's Hapless Busybody: A case against insurable interest requirement, "The Yale Law Journal, 2007;

Lowry J., Rawling P., Insurance Law: Doctrines and Principles, "Hart Publishing", 2003;

Mantrov V., Perception of Insurable Interest In European Insurance Law, University of Latvia, 2017;

Merkin R., Gambling by Insurance - A Study of The Life Assurance Act 1774, Anglo-American Law Review, 1980;

Clark G., Betting on Lives: The Culture of Life Insurance In England , 1695-1775, Manchester University Press, 1999;

Merkin R., Colinvaux's Law of Insurance, Sweet & Maxwell, 2006;

Patterson E., Insurable Interest in Life, Columbia Law Review, 1918;

Rejda G., Principles of Risk Management and Insurance, Pearson, 2005;

Salzman G., Murder, Wagering, and Insurable Interest in Life Insurance, The Journal of Insurance, 1963;

Sharo Michael A., Regulation Not Prohibition: The Comparative Case Against the Insurable Interest Doctrine, Northwestern Journal of International Law & Business, 2011;

Sorencen E., Zielinski K., The Insurable Interest Doctrine: What is it? And What does it mean? ;

Vance W., Handbook of the Law of Insurance, West Publishing Company, 1951;

Фогельсон Б., Страхование право: теоретические основы и практика применения, Москва, 2012;

Тарадонов С., Страхование Право, Москва, 2007;

Garner B., (Editor), Black's Law Dictionary, Thompson West, 2004

საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებები:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის #ას-663-624-2011 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის N-ას-719-674-2010 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 5 მარტის N 3კ-310-03 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 10 სექტემბრის N ას-755-811-2011 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 21 თებერვლის N ას-85-81-2013 განჩინება ;

სხვა ქვეყნების სასამართლოების გადაწყვეტილებები:

Mark Rowlands v Berni Inns LTD: CA 1985;

Lucena v Craufurd, 1805;

Macaure v Northern Assurance, 1925;

Kosmopoulos v Constitution Co, 1987;

Pritchett v Insurance Co. North America, 1803;

Lord v Dall, 1815;

Warnock v. Davis, 1881;

Grigsby V Russell, 1911;

Les cras v Hughes, 1782;

Technical Land Inc v Firemen Insurance Company of Washington, 2000;

Farmers' Mutual Insurance Co v New Holland Turnpike Road Co., 1888;

Musselman v. Mountain West Farm Bureau Mutual Insurance, 1992;

Balentine v New Jersey Insurance Underwriting Association, 2009;

Harrison v Fortlage, 1896;

Ann Burns v California Fair Plan, 2007;

Delk v Markel American Insurance Company, 2003;

Edwards v Alabama Farm Bureau Mutual Casualty Insurance Company, 1986;

Dimmitt v Progressive Casualty Insurance Company, 2003;

Teague-Strebeck Motors Inc. v Chrysler Insurance Company, 1999;

Faygal v Shelter Insurance Company, 1985;

Davis v Phoenix Insurance Company, 1896;

Delk v Markel American Insurance Company, 2003;

Harse v Pearl Life Assurance Company, 1904;